

ზელიმ ჩაკვეტაძე
(ვასო ბიძია)

მეზაგონის პრედი



არ გაგიშვებ, ვიდრე არ დამლოცავ

ზელიძ ჩაკვეტაძე

(ვასო ბიძია)

გენერალი

პრეზიდენტი

პროლოგი

წიგნში „მეამბოხე სულის კრედო“ განხილულია ბურჟუა-ზიული დემოკრატიის, სამართლიანობა, რომელიც ადოლფ ჰიტლერმა ასე შეაფასა: „დემოკრატია არის მმართველობის ფორმა, რომლის მიხედვით ორი დებილის ხმა მეტს ფასობს ვიდრე ერთი ჭკვანისა“ და ადამიანის ბრძოლა ასეთი სინამდვილის წინააღმდეგ.

კერძო საკუთრების გაჩენა და ჩამოყალიბება აუცილებელი პირობა იყო კაცთა ცხოვრების წინსვლისათვის, მაგრამ არა ისეთისა, როგორიც გვაქვს, რომელმაც საზოგადოება და მის მიერ შექმნილი სახელმწიფოც მდიდარი უმცირესობის სამსახურში ჩააყენა და ვირივით აჩანჩალებს ორივეს თავის ინტერესების შესაბამისად. ამ ფაქტორის წინააღმდეგ ბრძოლაში უძლურნი აღმოჩნდნენ მოქსეს გესიც, ვილგელმ ვეიტლინგიც, კარლ მარქსიც, ვლადიმირ ლენინიც, იოსებ სტალინიც და თვით იესო ქრისტეც, რომელიც ყმანვილ კაცს ასე არიგებს: „გაყიდე შენი ქონება და მიეცი ლარიბებს და გექნება საუნჯე ზეცაში. მერე მოდი და გამომყევი (მათე 19:21)… „ყველა ვინც ყანების და სახლების მესაკუთრე იყო ყიდიდა ქონებას, საფასური მოჰქონდა და დებდა მოციქულთა ფერხთით და თითოეულს უნანილებდა, ვისაც რა სჭირდებოდა (მოც. საქმეები 4:26-32) არც ერთი თავის ქონებას არ უწოდებდა თავისას. არამედ ყველაფერი საერთო ჰქონდათ (ნამდვილი კომუნიზმია) ასე იქმნებოდა საეკლესიო საამოები, რომელთა ლოგოსი წითელმა კაცებმა დაუდვეს საფუძვლად წითელ კოლექტივებს, იმ განსხვავებით, რომ რელიგიის ქურუმების მიერ დაპირებული იმქვეყნიური სამოთხის მაგივრად ესენი ამქვეყნიურს ჰპირდებოდნენ ხალხებს. ფაქტიურად კი განაგრძეს „წენვა-გლეჯის ბაზრის“ საუკუნეობით გამაგრებული და დამკვიდრებული ტრადიციები და კოლექტივებად მონათლული საამოების შემოსავლები მინისტრების და თავმჯდომარეების „ჩემია“-დ აქციეს, რითაც დიდად შეუწყვეს ხელი რუსეთის თვალუწვდენელ იმპერიაში იმ პოლიტიკური მმართველობების განადგურებას, რომლებსაც სოციალისტურად მიიჩნევდნენ.

იმ პერიოდში, როცა კაცთა ცხოვრებაში „წენვა-გლეჯის ბაზრის“ დოქტრინები მტკიცდებოდა, საზოგადოება გაიყო ორ არატოლ ნაწილად: მდიდარ უმცირესობად და ღარიბ უმრავლესობად. პირველი ნაწილი, რომლის წისქვილზე „წენვა-გლეჯის ბაზარი“ წყალს ასხამდა, კმაყოფილი გახდა მისი დოქტრინებისა. ხოლო მეორე ნაწილი, რომლის წისქვილისათვის „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ წყალს და წყალობას ვერასდროს ვერ იმეტებდნენ, უკმაყოფილო გახდა არსებული სინამდვილით. ორად გაყოფილი საზოგადოების მეორე ნაწილი, რომელსაც ღარიბი უმრავლესობა ვუწოდეთ, კიდევ ორ ნაწილად გაიყო. პირველში შედიოდნენ მეამბოხე სულის მქონე ადამიანები, ხოლო მეორეში – კონფორმისტები, რომლებიც შეეგუნენ შექმნილ მდგომარეობას, მიუხედავად შინაგანი უკმაყოფილებისა, ისინი დუმილს ამჯობინებენ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დუმილი ხშირად თანხმობის ნიშანია, გამოდის, რომ ისინი გულში იკლავენ უსამართლობით გამოწვეულ ბოლმას. კაცთა ბუნების ღრმადმჭვრეტელ ილია ჭავჭავაძეს ადამიანების ეს მდგომარეობა შეუმჩნეველი არ დარჩენია და გულისტკივილით უთქვამს: „მეჩემი ჭირის, ჩემი წუხილის, ჩემი კაცობის გულისდულილის სიტყვანი გულში მებადებიან, მაგრამ უხმოდვე გულში კვდებიან“ (იხ. მისი „გუთნისდედა“) კონფორმიზმი ზოგიერთ შემთხვევაში გადარჩენის საშუალებაც არის.

კონფორმისტებს გამოეყო კიდევ ერთი ქვეფენა, რომელსაც შეიძლება „ბუნჩულა ბიჭები“ ვუწოდოთ. ისინი აბსოლუტურ უპრეტენზიობას ამჟღავნებენ ძლიერთა და გაბატონებულთა წინაშე და ძალიერით ერთგულად ემსახურებიან „ძლიერთა ამა ქვეყნისა“. ისინი ძლიერებთან არიან ბუნჩულები, თორემ სუსტებთან ურთიერთობისას ძლიერების ინტერესების შესაბამისად რისხვად იქცევიან და მათ მიერ მითითების შემთხვევაში მზად არიან ისინი მატლებივით გასრისო.

საზოგადოების მეამბოხე ნაწილი ორფეროვანია. პირველ ფენას შეადგენენ საზოგადოებრივი ხასიათის ადამიანები, რომლებიც დიდი მზრუნველობით იცავენ როგორც პირადულ, ისე საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს. ასეთი ხასიათის ადამია-

ნები მუდამ არსებობდნენ, არსებობენ და იარსებებენ მანამ, სანამ კაცობრიობა იარსებებს. რაც შეეხება მეამბოხეთა მეორე ნაწილს, იგი ამბოხს ეწევა ვიწრო ეგოისტური მიზნების გასახორციელებლად. იგი ხშირად თანაუგრძნობს პროგრესულად მოაზროვნე მეამბოხეებს გამორჩენის მიზნით, მაგრამ თუ გამორჩენის იმედი დაკარგა, მაშნვე კონფორმიზმზე გადადის და ბრძოლაზე ხელს იღებს. აქ საჭიროა, გავიხსენოთ გალაკლტიონის ლექსი: „კლასიკოსების თუ ჩვენს ეპოქას იცავს მორნმუნე საკუთარ სარფის, საშიშროებას, როგორც კი იგრძნობს, სტოვებს ბრძოლის ველს და გარბის, გარბის“.

პროგრესულად მოაზროვნე მეამბოხის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს თრაკიელი მონა გლადიატორის სპარტაკის სახე.

კრასუსა და სპარტაკს შორის ასეთი საუბარი გაიმართა: „...თუ შენ დაიღალე, თავი გაანებე მათ, შენ გპირდებიან თავი-სუფლებას, რომის მოქალაქეობას და ჩვენს ერთ-ერთ რაზმში კვესტორის წოდებას – თავი დავანებო და ვულალატო?! – არა მაგ პირობებს მთელი ჩემი ჯარით განწყვეტა მირჩევნია“ (იხ. ჯიოვანელოს სპარტაკი გვ. 507) უკანასკნელ წუთებამდე იბრძოდა ვაჟკაცურად და გმირული სიკვდილით დაეცა.

„ასე დაამთავრა თავისი დღენი ამ იშვიათმა ადამიანმა, რომელშიც შერწყმული იყო: მაღალი სული, ნათელი ჭკუა, სიმამაცე, არაჩვეულებრივი ვაჟკაცობა და სიბრძე – ყველა აუცილებელი თვისება სახელგანთქმული სარდლისათვის. სპარტაკის, მონათა ამ მესის სახე კაცობრიობის ისტორიაში შევიდა როგორც სიმბოლო თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირისა“.

სპარტაკის ბუნების მქონე კაცი, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი თავის არსებობას სხვანაირად ვერ დაამთავრებდა რადგან მისი კაცობის კრედიტი შემოფარგლული იყო კაცითმოყვარეობით და ადამიანის მიერ სხვა ადამიანი ჩავრის, დაბეჭავების და ძარცვის უფლების მოსპობის მიზნით. ეს მიზანი წარმოადგენდა მისი კაცობის არსებობის ძირითად მიზანს.

როცა ადამიანთა კატეგორიებზე ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს საზოგადოებაში არსებულ პიროვნებათა ჯგუფები, რომლებიც მსოფლმხედველობრივ კა-

ტეგორიად ვერ ყალიბდებიან, მაგრამ თავისებურ გავლენას მაინც ახდენენ ხალხის ცხოვრებაზე. ეს გაერთიანებები ჰქმნიან ბრძოების არმიებს. რომელთა გაერთიანებები ნიაღვარივით ეტაკება მინიშნებულ ობიექტს, მაგრამ გამარჯვებას და საქმის გაძლოლას ვეღარ ახერხებს და სწრაფად იშლება. მათთან კავშირს ხელოვანი იდეოლოგებიც ვერ ამყარებენ, რადგან ისინი განვითარების დაბალ საფეხურებზე ბოგინობენ და მოწინავე ადამიანების იდეებს შემწევნობის მაგივრად ხშირად აზარალებენ.

1917 წლის ნოემბერში ზამთრის სასახლის აღებისას ლენინი ფოსტის, ტელეგრაფის და სადგურების აღებისაკენ მოუწოდებდა პროლეტარებს. მაგრამ მათ აშკარად ზამთრის სასახლის სარდაფებში შენახული ხუთ მილიონ დოლარად ლირებული ღვინოებისა და კონიაკების კოელქციის ხელში ჩაგდება უნდოდათ.

ახალგაზრდა რევოლუციონერი ქალი ლარისა რაისნერი, რომელიც ლუნაჩარსკის თანაშემწე და ზამთრის სასახლისათვის მიყენებული ზარალის დამდგენი კომისიის წევრი იყო, ასე აღნერს ე.წ. „ღვინის სარდაფის შტურმს“:

„კარებსა და კედლებს ჯერ ერთი, მერე მეორე ფენა აგურით ქოლავენ – მაინც არაფერი შველის. ყოველ ღამე კედელს ხან სად შეანგრევენ, ხან სად და ისრუტავენ, ტლაკავენ ყველაფერს, რასაც კი სწვდებიან. რაღაც ცოფიანი, შიშველი, თავხედური მოთხოვნილება იზიდავს აკრძალული კედლისკენ ხან ერთ და ხან მეორე ბრძოს. ფელდფებული კრივორუჩენკო, რომელსაც ამ ავადსახსენებელი კასრების დაცვა აქვს დავალებული, თვალცრემლიანი მიამბობდა სასონარკვეთაზე, რომელსაც ღამლამობით განიცდის თავის მცირერიცხოვან მცველებთან ერთად ამ საზარელი ბრძოს შემხედვარე. ახლა ასე გადაწყვიტეს: „ყველა ხვრელში თითო ტყვიამფრქვევი“.

არც ამან უშველა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გაენადგურებინათ ეს უძვირფასესი განძი, რომლის გაყიდვაც ჰქონდა განზრახული რევკომის. მყიდველები შვედები იყვნენ. რევოლუციას ძალიან სჭირდებოდა ეს ფული, მაგრამ გავეშებული მასების გამუდმებულ მტურმებს ვეღარ უძლებდნენ. ყველა

პოლკი, რომელსაც ღვინის საწყობების დასაცავად უშვებდნენ (ასეთები ქალაქში რამდენიმე ათეული იყო), თავად ილეშებოდა. მერე მას მეორე ცვლიდა და ასე დაუსრულებლად.

მაქსიმ გორკი წერდა: „უკვე თითქმის ორი კვირაა. ყოველ ღამე ადამიანთა ბრძოები ძარცვავენ ღვინის სარდაფებს. თვრებიან, თავში ურტყამენ ერთმანეთს ბოთლებს, შუშის ნამტვრევებით იჭრიან ხელებს და როგორც ღორები ტალახში, ისე გორავენ სისხლში“.

ამ მასობრივ უბედურებას ზამთრის სასახლეზე შტურმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვლადიმერ ანტონოვ-ოვსეენკო ასე იხსენებს: „განსაკუთრებით მწვავედ დადგა ზამთრის სასახლის ღვინის სარდაფების საკითხი. ამ დროისათვის ჯერ კიდევ დისციპლინირებული პრეობრაჟენსკის პოლკი, რომელიც ამ სარდაფებს იცავდა, საბოლოოდ გალოთდა. ვერც პავლოვსკის პოლკმა (ჩვენმა რევოლუციურმა დასაყრდენმა) გაუძლო ამას. მერე შერეული ნაწილები გამოგზავნეს, ისინიც გამოთვრნენ... „პრონევიკებიც“ ჩართეს, მაგრამ სულ ცოტა ხანში მათაც ყანყალი დაიწყეს. როგორც კი მოსალამოვდებოდა, იწყებოდა ცოფიანი ბაკქანალია. „ამოვსვლიპოთ რომანოვების ნარჩენები!“ – ამ მხიარული ლოზუნგით იყო ატაცებული ბრძო. ამოქოლეს შესასვლელები – ბრძო გისოსებს გლეჯდა, ფანჯრებიდან აღწევდა სარდაფში და ისე ძარცვავდა იქაურობას. შეცადნენ წყლით აევსოთ სარდაფები. მეხანძრები ამ სამუშაოს შესრულებისას უგონოდ გამოთვრნენ. ... ამ სარდაფების გაუვნებელყოფა მხოლოდ ე.წ. ჰელსინკის პოლკის მეზღვაურების ჩარევით მოხერხდა.

როგორც იქნა მოახერხეს და ამ უძვირფასესი სასმელის მორიდიორებს გადარჩენილი მასები ნევაში ჩაუშვეს.

ლევ ტროცკი ემიგრაციაში იხსენებდა: „ღვინო არხებად მიედინებოდა ნევისკენ. თეთრი თოვლი წითელი მასით იულინ-თებოდა. ლოთები პირდაპირ თხრილებს ლოკავდნენ“.

ამბობენ, რომ ლენინს მაშინ დაეწყო ტიკები. „ეს ნაძირლები რევოლუციას ღვინოში ჩაახრჩობენ!“ – ყვიროდა ის – „ჩვენ უკვე გავეცით ბრძანება ადგილზე დახვრიტონ ღვინის სარდაფებზე თავდამსხმელები, მაგრამ ჯერჯერობით არ გვიჯერებენ“.

მოთხრობილი არგუმენტებით მტკიცდება, რომ ბრძოებს, იმ დროს როცა ხალხთა ბელადი ჯარსაც და ჯამაათსაც მათი „ბედნიერი მომავლის“ შექმნის მიზნით ზამთრის სასახლის აღებისაკენ მიუთითებდა, ფეხებზე ეკიდათ „ბედნიერი მომავალიც“ და ბელადის იდეებიც, რადგან მათი სული იმ სარდაფში ტრიალებდა, რომელშიც 5 მლნ დოლარად ღირებული ლვინოების კოლექცია ინახებოდა და თავგანწირვით ეჯაჯ-გურებოდნენ მის კედლებს და არავითარ თანაგრძნობას არ უწევდნენ იმ კაცს, რომელსაც ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ ხალხების საბედნიეროდ შეექმნა „*Великий могучий советский союз*“-ი, რომელიც ახლო მომავალში „ფოლადის კაცის“ მიერ შეექმნილი კანონების კრებულით უნდა გაჩირალდნებულიყო თავისი კოლექტივებით და საარჩევნო კანონებით, რომელთა ძალით საზოგადოების შემადგენლობის 99,99% კომუნისტების მიერ წამოყენებულ კანდიდატებს მისცემდა ხმას და ადამიანს ხმის მიმცემ ცხვრად გადააკეთებდა და წინასწარ მისცემდა გამართლებას ლენინის დედის ძმის შვილის-შვილის ადოლფ შეკელგრუბერის (პიტლერის) აზრს: რომ „ხალხი საარჩევნო ხმის უფლების მქონე ცხვარია“.

გაკვირვებას იწვევს ის მდგომარეობა, რომ რუსის ჯარმა ვერ შესძლო ლვინოებისთვის თავგანწირული ბრძოების დამორჩილება და ჰელისინკის ჯარის დახმარება დასჭირდა. აღბათ იმდოროინდელი ბრძოები ვერ აღწევდნენ გალაკტიონის აზრის გაგებამდე: რომ „თვითონ კაენიც შეგებრალება, თუ კი პოეტის ჰქვია სახელი“ (ამ შემთხვევაში ცნება პოეტი სინონიმია სიახლის დამნერგავი კაცისა)

„ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ცნება მეამბოხეს სალანძღავ სიტყვად მიიჩნევენ და არ აინტერესებთ ამ ცნების შინაარსის მქონე კაცებთან ურთიერთობა, რაც არ შეიძლება საპატიოდ ჩაითვალოს. შენ თუ კარგი კაცი ხარ, ყველას უნდა უპატრონო კარგსაც და ცუდსაც და თუ ცუდი კაცი ხარ, მაშინ დასასჯელია არა ხალხი არამედ შენი მწყალობელი, რომელმაც შენ ხალხის ბედი ჩაგაბარა.

მიუხედავად მრავალგვარი მცდელობისა წითელმა იდეოლოგებმა ვერ შესძლეს იმპერიის ხალხების აბსოლუტური და-

დებილება, კი ათქმევინებს ფეოდოსიშვილს და მისნაირ კაცებს: „მე მამას მოვკლავ, დავახრიობ დედას, რევოლუციამ თუ ეს მიბრძანა“-ო, მაგრამ მის მოწოდებას არც ერთი კაცად ღირებული არსება არ გაჰყოლია, თუ მხედველობაში არ მიიღებენ „წითელი ანგელოზების მიერ გმირად აღიარებულ მცირენლოვან ბავშვს პავლე მოროზოვს, რევოლუციის ფეოდოსიშვილისთანა ქურუმებს, მხოლოდ ბავშვებისა და მიამიტების დაბრიყვება შეეძლოთ. ანალოგიურ მცდელობასთან გვაქვს საქმე, ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში“, როცა კომკავშირის მდივანმა თალიკოს დაბრიყვება სცადა: „უღალატე მამაშენს და მიგიღებ კომკავშირშიო“ ჭკვიანი ქალიშვილი ასე შეეპასუხა: „ბაჭული ბიჭო! მამას როგორ ვუღალატებ, ან შენ როგორ მოგიბრუნდა ენა ამის სათქმელად“-ო. რა სიკეთე შეიძლებოდა მოეტანათ ფართო საზოგადოებისთვის იმ იდეოლოგებს, რომლებიც შვილს მამის წინააღმდეგ ამხედრებდნენ და ხშირად კიდევაც ალუპვინებდნენ. აი როგორ იდეოლოგებს გადაურჩნენ რუსეთის იმპერიის ხალხები.

ამ გადარჩენაში წამყვანი როლი პროგრესულად მოაზროვნე მეამბოხებმა შეასრულეს „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ და მათთან ერთად საქმეში ზედაპირულად ჩახედული ადამიანები ამრეზილად შეჰქონიერებენ და ხშირად აუგადაც მოიხსენიებენ მეამბოხე კაცებს, რომლებიც მათი აზრით აფორიაქებენ კაცთა ცხოვრებას. პირველი ამას სჩადიან უტილიტარული მიზნით, მეორენი იმის გამო, რომ არ ძალუდთ კაცთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღრმად განსჭვრეტა. კაცთა ცხოვრება მარად განახლებადი ორგანიზმია, რომელიც ექვემდებარება მუდმივ ცვალებადობასა და განვითარებას. ძველს აცოცხლებს მანამ, სანამ იგი ხელს უწყობს ახლის დამკვიდრებას და გაუმჯობესებას. ხოლო როცა ამოწურავს თავის შესაძლებლობებს მისი დადგენილებით „ვინ არს ძალი უხილავი შემწე ყოველთა მიწიერთა“ შეუერთდება მარადისობას. ზოგი არსებები თავისი მისის შესრულებას დროის მცირე მონაკვეთში ახერხებენ. ჩვენებური ჭრელი პეპელა ორ დღეში ასწრებს გამოჩეკვას, სქესობრივ მომნიფებას, მემკვიდრეობის შექმნას და მარადისობასთან შეერთებას. ციმბირის კოლო კი ამ ფუნქციების შესრულებას

ნახევარ საათში ახერხებს. ხოლო ადამიანს მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულება საუკუნეში უჭირს. ბერივაცი ძველებური მეთოდებით და ხერხებით ცდილობს თავისი მისის შესრულებას, ხოლო შვილი ახალი მეთოდების შემოღების მომხრეა, რაც მამასა და შვილს შორის იწვევს კამათს და საკმაოდ სერიოზულ ნინაალმდეგობას.

ღმერთსაც და ბუნებასაც ასე დაუდგენიათ, რომ ძველმა და დრომოჭმულმა გზა ახალს უნდა დაუთმოს, მაგრამ ეს უნდა დაექვემდებაროს ღირებულებათა გადაფასებას რომ კარგ ძველს არსებობა გაუგრძელდეს, მანამ სანამ იგი დადებითი ღირებულების შემცველი იქნება. ნინაალმდეგ შემთხვევაში მისი უარმყოფელები პროლეტკულტელებივით ნითელ ჭაობში ჩაეფლობიან. გავიხსენოთ მათი ლოზუნგი: „ჩვენ ხვალინდელი დღის სახელით დავწვავთ რაფაელს, ეკლესიებსა და მონასტრებს კი გადავთელავთ“ დღეს საქმეში ჩახედულმა ყოველმა კაცმა იცის, რომ ამ გაერთიანების ამბოხი რეგრესული იყო, რომელსაც ნიჭიერი მთავრობა (რომელიც შეიძლება სხვაგვან არსებობდეს) დროულად აკრძალავდა მათ მოძრაობას და კულტურის ამდენ ძეგლებს არ გაანადგურებიებდა.

დიდი პროგრესი იყო კაცობრიობის ისტორიაში მოსეს რჯულის ნინაალმდეგ ქრისტეს ამბოხება: „მოსეს სჯული ეს ვიწრო, სასტიკი უმოწყალო სჯული ღირსეულად მხოლოდ აბრამის შთამომავლობას თვლის. იესოს აზრით კი ყოველი კეთილი მისწრაფების კაცი, ყოველი ადამიანი, რომელიც მიიღებს და შეიყვარებს მას, იესოს იგივე აბრამის შთამომავალია... მოკლეთ რომ ვთქვათ, იმ დღიდან იესო ებრაელი აღარ არის, იგი მხოლოდ უაღრესი რევოლუციონერია. იგი მოუწოდებს ყველას ემსახურონ იმ ღმერთს, რომელიც ყველას თავის შვილებად თვლის. იესო აღიარებს უფლებას კაცისა და არა უფლებას ებრაელებისას“ (რენანი „ქრისტეს ცხოვრება და მოღვაწეობა გვ. 94) იესომ სავსებით უარყო მამა-პაპათა სარწმუნოება. მან ასეთი დასკვნა გამოიტანა: „სჯული მოსესი უნდა მოისპოს და მოვსპობ კიდეც“ რენანი ამბობს: „მან გააუქმა მოსეს სჯული და მის ნაცვლად შექმნა ახალი სარწმუნოება, ახალი კულტი, მოსეს სჯულზე მეტად უმჯობესი“.

დასახელებული არგუმენტებით მტკიცდება რომ ქრისტე იყო პროგრესული იდეებით შეიარაღებული და მოსეს სჯულის წინააღმდეგ ამხედრებული ღმერთკაცი.

იცვლებოდა დრო, იცვლებოდნენ საზოგადოებრივი ფორმაციები, ზენ-ჩვეულებები, ტრადიციები. უცვლელი რჩებოდა მხოლოდ „წენვა-გლეჯის ბაზარი“ და მისი დოქტრინები. მას ისე მტკიცე ფუნდამენტი აქვს, რომ უამთა სვლა დიდ ვნებას ვერ აყენებს, რადგან იგი კაცთა ცხოვრებასავით მუდამ განახლებადია და სასიცოცხლო ძალებსაც კაცთა ცხოვრებიდან იკრებს. მისი ფუნდამენტის შერყევა ძნელი საქმეა, მაგრამ შეუძლებელი – არა. მისი შერყევა მხოლოდ კაცთა ცხოვრების ჰარმონიული ურთიერთობის წყალობით არის შესაძლებელი, რომელიც პირველყოფილი სოციალიზმის დაშლის შემდეგ ისტორიის საკუთრება გახდა და კაცთა თანამედროვე ცხოვრებას საზარბაზნე მანძილზეც აღარ ეკარება. კაცთა ცხოვრებამ, დოგმად აღიარა ლენინის შეხედულება, ადამიანის მდგომარეობის შესახებ ბურუუაზიულ საზოგადოებაში, რომ „ან შენ მუშაობ სხვისთვის, ან სხვა მუშაობს შენთვის, ან მონათმფლობელი ხარ, ან მონა“. ვინ მუშაობს სხვისთვის?! – ღარიბი უმრავლესობა. ვისთის მუშაობს ღარიბი უმრავლესობა?! მდიდარი უმცირესობისთვის. ვინ არის მონა? – ღარიბი უმრავლესობა, ვინ არის მონათმფლობელი?! – მდიდარი უმცირესობა.

გალაკტიონი დიდი ხნის წინათ წერდა: „... ვდგამთ შავი ქვის გორას, რომ მოგება მოგებაზე დარჩეს მუქთახორას“. მწამს, მკითხველი გაიგებს, რომ გალაკტიონი მუქთახორას ძუნნი ბიზნესმენის სინონიმად იყენებს.

ცხადია, რომ ცხოვრების ისეთი ტაქტიკა, რომელზედაც ზემოთ მქონდა საუბარი, ჰქმნიდა, ჰქმნის და მომავალშიც შექმნის მეამბოხე სულის მქონე ადამიანებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ, ცდილობენ და მომავალშიც შეეცდებიან დაიხსნან თავი არსებული მდგომარეობიდან და რადგან იციან, რომ „წენვა-გლეჯის ბაზრის“ დოქტრინების შეცვლა ზემოდან დაწერილი კანონებით ილუზიაა და მათთვის ილუზია კი არა რეალობაა საჭირო, ერთიანდებიან კოლექტივში და ჰქმნიან მეამბოხეთა არმიას, რომელიც თავისი არსებობის აზრსა და

გამართლებას ხედავს იმ აბადონთან ბრძოლაში, რომელიც სატანამ „წენვა-გლეჯის ბაზრის“ დოქტრინების განხორციელების წყალობით შექმნა და დღემდე განაგრძობს მისი არქიტექტურის სრულყოფილებას, რათა კაცობრიობას „აპოკალიფსის“ დღე გაუთენოს, რომ თავისი არსებობისა და მოღვაწეობის კრედოს „სასახელო“ გამართლება მისცეს.

P.S. სტატიის შესავალ ნაწილში მარქსიზმის კლასიკოსებთან იესო ქრისტეს გატოლება მის დაპატარავებას ნიშნავს და ეს ცოდვა მე არ უნდა დამეწეროს. მე, მართალია, ერთი პატარა წერტილი ვარ ამ უკიდეგანო სამყაროში, მაგრამ მაინც რაღაც რაობას ნარმოვადგენ. გასული საუკუნის 50-იან წლებში მოსმენილი გეომეტრიის გაკვეთილიდან მახსოვს წერტილის მეცნიერული განმარტება: რომ იგი „არის გეომეტრიული ნაკვთი, რომელსაც არავითარი განზომილება არ გააჩნია“ მე კი წერტილად მიჩნეული კაცი, მიუხედავად განზომილებების უქონლობისა, მაინც რაობა ვყოფილვარ და ვინც ბიბლიის გადამწერების ცოდვას მომანერს, დიდად შესცოდავს ღმერთს, რადგან იესო ქრისტეს დაჩიავება ჩემი კი არა იმ ცოდვილი სულის მატარებელი გადამწერის ცოდვაა, რომელმაც თავისი ჭკუით თითქოს კეთილი სამსახური გაუწია ქრისტეს და მას მიაწერა ის, რისი თქმაც მას თავისი სიდიადის გამო არ შეეძლო: „ყველა ვინც მიატოვა სახლები, ან ძმები, ან მამა, ან დედა, ან შვილები ჩემი სახელის გულისათვის, ასმაგად მიიღებს და საუკუნო სიცოცხლეს დაიმკვიდრებს“ (მათე 19:29) იესოს გონების კაცს მხოლოდ იმის მოწოდება შეეძლო ხალხისადმი რომ ოჯახის, ნათესაობის და საზოგადოების კეთილდღეობისთვის ზრუნვა და პატიოსანი შრომა არამარტო ადამიანის, არამედ ღმერთის სამსახურიცაა.

აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე
27.06.2023წ.

ნიგო ნიგოლაძისა და ილია ჭავჭავაძის აქესტიცია

მჭირს მე საქმე საფიცხელი, ვერას
ვითმენ გულფიცხელი“
დ. გურამიშვილი

გაუცხოება არის ადამიანის მდგომარეობა
როდესაც მის სულიერ ფაქტორებზე ბატონდება
უცხო ფაქტორი
ავტორი

რუსთაველის შეხედულება რომ „სხვა სხვის ომში ბრძენია“, საშუალებას მაძლევს, ჩავერიო ნიკო ნიკოლაძისა და ილია ჭავჭავაძის აჟიოტაჟის გამომწვევ ფაქტორებში.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკო და ილია ორივე თავდადებულად იბრძოდა საქართველოს კეთილდღეობისათვის, რაც მათი მოღვაწეობის სტრატეგიას შეადგენდა და მათი ტაქტიკაც ბევრ რამები ემთხვეოდა ერთმანეთს, ისინი ერთმანეთის მიმართ მაინც ანტიპოდები იყვნენ, რაც განპირობებული იყო განათლების სპეციფიკით. რაც გარკვეულ წილად განაპირობებს ადამიანის მსოფლმხედველობასაც.

უურნალმა „კლდემ“ (1913წ. გვ. 10 №33) გააცნო ხალხს თავისი აზრი: „ბევრჯერ დავფიქრებულვარ, თუ რად აითვალწუნა ჩვენმა ინტელიგენციამ საუკეთესო შვილი ნიკო ნიკოლაძე. ახლა კი მესმის ნიკო ნიკოლაძე და რუსეთში ნასწავლი ინტელიგენცია ორი ანტიპოდია, სულ სხვადასხვა ტიპები. ნიკო ნიკოლაძე სულითა და გულით ევროპელია, ევროპაში ნასწავლი, ევროპული იდეებით გამსჭვალული... ჩვენი ინტელიგენცია კი უმთავრესად აღზრდილია რუსეთის სკოლაში, ამ სკოლის მონური სულით, ჩინოვნიკური რუტინით და სხოლასტიკით გაუდენთილი. ამიტომ ჩვენი ინტელიგენტები უმთავრესად არიან თეორეტიკოსები, მეოცნებე, აკადემიური მსჯელობის ხალხი... ნიკო ნიკოლაძე კი რეალისტია, რეალური პოლიტიკის მანარმოებელი, ცხოვრების მცოდნე, მის ქარცეცლხლში ჩავარდნილი ძალაუნებურად იქცევა ისე, როგორც უკარნახებს მას ცხო-

ვრების სასტიკი სინამდევილე. ჩვენს ცხოვრებაში უსუსური ინტელიგენტები ნათლავენ მას ოპორტუნისტად, რენეგატად და რეაქციონერად. დასახელებულმა ფაქტორებმა გამოიწვია მისი გაუცხოება, გამარტოება და გამარტოკაცება.“

ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ახალგაზრდობიდანვე შეუსისხლხორცდა მმართველობის ევროპულ წესს, ცდილობს ამ წესის საქართველოში დამკვიდრებას, მაგრამ საამისო ფაქტორების ქართული სინამდევილის პირობებში არ არსებობას ვერ ითვალისწინებს და მაჭარივით ბუხბუხებს. პეტერმა იღიამ იცის, რომ უადგილო და უდროო ბუხბუხი სასიკეთო ნაყოფს ვერ გამოიღებს – პირიქით შეიძლება საქმე კიდევც მეტად დააზარალოს.

ნიკო ნიკოლაძე სცნობდა იღიას როგორც საზოგადო მოღვაწეს, თავდადებულ მამულიშვილს და ნიჭიერ ლიტერატორს. მაგრამ მას როგორდაც აკაკი წერეთელი მასზე ნიჭიერ პოეტად მიაჩნდა ნიჭი არც ციური (ლვთაებრივი) და არც მიწერი არც ერთს აკლდა და არც მეორეს. ორივე უხვად დაუჯილდოვებია ლმერთსაც და „მიწასაც“ იმის თქმა: რომ „თავად იღია ჭავჭავაძეს აკაკი წერეთლის ნიჭის ნამცეცი არ მოეპოვება“, მეცოდვად მიმაჩნია. თუ ჩემს აზრს მეითხველი კარგად დაუკავირდება დამერწმუნება იმაში, რომ იღიას ნიჭზე ნამცეცის თქმა დიდი და მიუტევებელი ცოდვაა. ნიკო ნიკოლაძე კი არის მახვილი გონების პატრონი, რომელიც პულსს უსინჯავს კაცობრიობის შემოქმედებით საქმიანობას და არაფრით ჩამოუვარდება არა მარტო ქართველი, არამედ მაგრადგანვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ ავტორიტეტებს, იგი ერთგვარ თეზას წარმოადგენს გონჩაროვის პერსონაჟის შტოლცისა, რომელიც შეურიგებლად ეპრძოდა ყოველგვარ თაღლითობას და გაიძვერობას სიცრუის და მუქთახორობას (იხილე გონჩაროვის „ობლომოვები“) მაგრამ... არც გალაკტიონის შეხედულების უარყოფა რომ „ხელოვნება ეს ოქროა მიწის გულში შენახული, ხელოვნება მარგალიტს ჰგავს მას ზღვა ჰფარავს შეუცვლელი, რას იშვიათ თუ მისწვდება კაცის გული კაცის ხელი“-ს დავიწყება მოგვცემს დადებით შედეგს. რადგან აკაკის და იღიას შემოქმედებას კარგად თუ არა საშუალოდ მაინც ვიცნობ, თავს

უფლებას მივცემ ვთქვა, რომ აკაკის პოემებს რომლებსაც არ აკლია პოეტურობა და ლაზათი ილიას „განდეგილი“ მთელი თავით აღმატება. მისი ავტორი ყოველნაირად უჩვენებს თავის გენიალურობას.

თუ ამ ორი პოეტის პოპულარობაზე ვიმსჯელებთ, მივიღებთ, რომ აკაკი უფრო პოპულარულია ვიდრე ილია. ეს პოპულარობა განაპირობა მისმა დაახლოებამ ხალხურ ენასთან. მისი ლექსების უმრავლესობა ისე მარტივია და ადვილად გასაგები, რომ თითქმის თავისით შედიან კაცთა თავებში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ილიას ლექსებს არ აქვს იმდენი პოპულარობა, რამდენიც აკაკისას, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ აკაკი გიგანტი იყოს და ილია ნამცეცა ბიჭი. რადგან პოპულარობა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს იმდენ უპირატესობას, რომ მისი მფლობელი შედარებულ პიროვნებაზე წინ დავაყენოთ.

პოპულარული პოეტია ლადო ასათიანი, არიან ადამიანები, რომლებსაც იგი ბარათაშვილის ტოლ პოეტად მიაჩნიათ, მაგრამ მწარედ ცდებიან. – რატომ?! – იმიტომ რომ ისინი ძირითად ყურადღებას ლექსის სპეციციკას კი არა მის პოპულარობას ანიჭებენ. ბარათაშვილს მიუხედავად სიდიადისა (იგი არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო რომანტიკული პოეზიის უდიდესი წარმოადგენელია. ერთი გერმანელი პროფესორი ამტკიცებს, რომ მსოფლიო რომანტიკული პოეზიის მწვერვალი ბაირონი კი არა ბარათაშვილია-ო) ერში დიდი პოპულარობა არა აქვს. რატომ?! იმიტომ რომ მის პოეზიაზე ფართო მასებს კი არა ლიტერატურის სპეციალისტებსაც ძნელად მიუწვდებათ ხელი. ბევრ ფილოლოგ ვიცნობ, რომლებიც მასწავლებლობაში დაბერებულან, მაგრამ ბარათაშვილის „ვპოვე ტაძარი“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“ ზეპირად არ იციან და ხალხმა საიდან უნდა იცოდეს?!

ლადო ასათიანის ნიჭიერებას და პოპულარობას პოეზიაში ჩახედული ვერც ერთი ადამიანი ვერ უარყოფს, მაგრამ მისი გატოლება ბარათაშვილთან შეუსაბამობაა, თუმცა მისი ლექსები ბევრმა კაცმა ზეპირად იცის და ბარათაშვილის – ძალიან ცოტამ. რამდენიმე კაცს თუ ეცოდინება, ისიც მოყვარულს –

რატომ?! – იმიტომ რომ დიდი პოეტი თავისი სიდიადის გამო ვერ ეშვება იმ დიდი სიმაღლიდან, რომელზედაც ის თავის სტიქიას უფრო მოხერხებულად ამჟღავნებს, ვიდრე ქვემოთ იმ ადგილებში, რომლებშიც ჩიტები და გვრიტები თავიანთ შემოქმედებას მაქსიმალურად ეწევიან თავიანთი სტიქიის შესაფერისად. „შემოღამება“ და „ვპოვე ტაძარი“ რომ მასების გაგების დონემდე დაიყვანო (გაამარტივო) თავდაპირველ ლირებულებას დააკარგვინებს და ახალს ვერ შეაძენინებ. არნივი ვერ შეძლებს იმ ადგილებში მხრების გაშლას, რომელშიც როგორც უკვე ითქვა, ჩიტები და გვრიტები თავისუფლად და მშვენივრად ეწევიან თავიანთ შემოქმედებას. მისთვის (არნივისთვის) საჭიროა დიდი სივრცეები და მაღალი მწვერვალები.

გოეთეს უთქვამს: „ხშირად დიდი ადამიანი დიდი გემსავით შეცდომების დიდ ზოლს ტოვებს თავის სარბიელზეო“. იღლიას ნიჭის ნამცეცად შეფასება ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობაში ნამდვილად შეცდომის დიდ ზოლად ჩანს და გამოჩნდება მუდამ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

კოლხეთის (ფაზისის, საერო-სამეცნიერო
საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი
ზელიმ ჩაკვეტაძე 19.II.2022წ.

50 ჩვენი საქართველო!

„ერთი წყევლა ჩვენი ყალბი სამშობლოსთვის გვინდა,
სადაც ხარობს სიმდაბლე და ჭკნება სული წმინდა“.
პაინრიხ ჰაინ

„იუდას სანთელს უკმევენ, ჯვარზე აცმევენ ქრისტესა“.
ვაჟა-ფშაველა

„იქრა უნდა ქნას წმინდათა წმინდამ, სად ცოდვას მადლი
დაუძლევა“.
ი. ჭავჭავაძე

ჩვენი სწავლულები და საზოგადო მოღვაწეები კარგად
განმარტავენ იმ მოვალეობის შესრულების აუცილებლობას,
რომელიც დაკავშირებულია სამშობლოსთან. მოითხოვენ და
სწორიც არის, რომ პიროვნებამ აუცილებლობის შემთხვევაში
მის ინტერესებს შესწიროს ღვთისგან და ბუნებისგან ბოძებუ-
ლი უძვირფასესი ფასეულობა – სიცოცხლე. უდავოა, რომ სამ-
შობლოსგან ეს მოთხოვნა სამართლიანია, მაგრამ ისიც უნდა
აღინიშნოს, რომ სიბრიყვე იქნება მის წარმოდგენა, თითქოს
პიროვნება ის ცხვარი იყოს, რომელსაც არავითარი მოთხოვნა
არ გააჩნდეს იმ კერპის მიმართ, რომელსაც იგი ეწირება. არა
მგონია, რომ ადამიანზე მეტი პრეტენზიული, მომთხოვნელი
და ანგარიშიანი არსება ჩვენს პლანეტაზე არსებობდეს. თუ
კი სამშობლო მისგან მოითხოვს ერთგულებას და საჭიროების
შემთხვევაში თავგანწირვასაც, პიროვნებაც მოითხოვს მისგან
მოვლას პატრონობას და სამართლიანობას.

თუ სამშობლო პიროვნების მიმართ იქამდე გულცივია, რომ მის მოთხოვნებს აინუნშიაც არ აგდებს და მისი „რჩეუ-
ლები“ არამზადებს ძეგლებს უგებენ, ხოლო გმირებს თავისი
მიწიდან მიერეკებიან, მაშინ პატიოსან კაცს სხვა არაფერი
რჩება, გარდა იმისა, რომ გაეცალოს არსებულ სინამდვილეს
და უცხო ხალხის კალთას შეაფაროს თავი. ხშირად გაიგონებ
ჩვენში: სამშობლოს გაურბიან ახალგაზრდები, თავს უცხოეთს
აფარებენ და ხალხის ბედს არაფრად აგდებენ, ასეთი მსჯე-
ლობა მარტივია, რომელიც მხოლოდ ცალი მხრიდან აშუქებს

საგანს და არა ყოველი მხრიდან, რომლებიდანაც გარკვევით გამოჩნდება პიროვნების დამოკიდებულება არა მარტო სამშობლოსადმი, არამედ მთელი გარემომცველი სამყაროსადმი.

მწერალი გამსახურდია ამბობს: „შიმშილი რომ კაცს ქეჩოში ჩააფრინდება, არავინ იცის, რას მოიმოქმედებს“-ო. თუ გავიხსენებთ, ჰომეროსის მეღორის საუბარს ოდისევსთან, რომ „... ამქვეყნად უძლიერესი სატკივარი ცარიელი სტომაქია“, ცხადი გახდება, რომ ჰომეროსის შეხედულებით ადამიანის კარგადმყოფობის საქმეში სტომაქი პირველობას არავის დაუთმობს, ამასვე იმეორებს სერვანტესის დონკიხოტი: „მუდამ გახსოვდეს, სანჩო, რომ ადამიანის კარგადმყოფობა კუჭში იჭედება...“

კი ამბობს ადოლფ ჰიტლერი: „.... ეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც პირველ რიგში აყენებენ ადამიანთა ცხოვრებაში, მეორე ან მესამე ადგილზეა, წინ ყოველთვის ხალხის სულიერი ძალა დგასონ“, მაგრამ მნარედ ცდება, რაც ზემოთ მასზე დიდი ადამიანების მიერ დასახელებული არგუმენტებით მტკიცდება.

ყოველ არსების მოქმედების ძირითადი პრინციპი არის მისი ბრძოლა არსებობის შესანარჩუნებლად. ეს ბრძოლა ხშირად ინდივიდუალურია, ზოგჯერ კოლექტიურ ხასიათს იღებს და თუნდაც უმარტივესი არსებები საკმაოდ მრავალრიცხოვან გაერთიანებებს აწყობენ თავდაცვის მიზნით საუბედუროდ ეს კანონი არსად ისე სუსტი არ არის, როგორც საქართველოში. ისედაც უგუარი და ყაჩაღური ბუნების ქართველი კაცი, „პერესტროკის“ მიერ მოტანილმა თავისუფლებამ და დამოუკიდებლობამ სულ გაამარტოხელა გაამარტოსულა და ყოფნა-არყოფნის ზღუბბლზე დაყენა, საიდანაც რამდენიმე ნაბიჯით შეიძლება არყოფნის სივრცეში გადაიჩეხოს, რასაც სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ საბრალო ხალხისა და ბრძოების მიერ არჩეული და დაკანონებული პრეროგატივები.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ საქართველოში სულით ობლობა, უიმედობა და ხვალინდელი დღის შიში ხალხის ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი გახდა და მან შეიგრძნო, რომ მათი სამშობლო ათასნაირი ძალლისა და მამაძალლის მზრუნველი დედაა და მისთვის კი ანჩხლი დედინაცვალი.

უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი: უპურობით, უფულობით, უმუშევრობით და უსამართლობით გულშენუხებული და სკეპტიციზმით შეპყრობილი, სწრაფი ავტომობილებით, საზღვაო ხომალდებით, ან ზებგერითი თვითმფრინავებით ტოვებენ მშობლიურ მინას და უცხოეთში ეძებენ ცხოვრების საარსებო მინიმუმს, მაშინ, როცა ლერმონტოვის სიტყვებით რომ ვთქვათ: “Надменные потомки известной подлостию прославленных отцов”. მათ მშობლიურ მხარეს ისე კარგად წველიან, რომ მილიონებსაც აგროვებენ, პარლამენტარობას აჩალიჩებენ და ბრძოების ერთგულებასა და თანაგრძნობასაც იმსახურებენ და საზოგადოებას ახლო მომავალში ჩასატარებელი დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების იმედებით კვებავენ. ჩვენი ცხოვრების საუბედუროდ ჩვენი სკოლების მიერ გასწავლულ ახალგაზრდებს თუმცა ბევრი არაფერი მოეთხოვებათ ფილოსოფიური და პოლიტიკური აზროვნების ირგვლივ, მაგრამ იმით მაინც ვერავინ მოატყუებს, რომ ლოცვებით და დაპირებებით სტომაქის გამოკვება იყოს შესახლებული. კი ასწავლიან წმინდა მამები ხალხებს ბიბლიურ სიბრძნეს, რომ იესო ქრისტემ ხუთი პურით და ორი თევზით 5000 კაცი გამოკვებაო, მაგრამ მე ეს ურიებისგან მოჩმახული ზღაპარი მგონია, რომელიც საზარბაზნე მანძილზეც ვერ უახლოვდება რეალობას. რადგან მე არ ვეკუთვნი ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც ქვეყნის აშენებას სიცრუით და გაიძვერობით ფიქრობენ, უნდა განვაცხადო, რომ თუ მთავრობა თვითეულ პატიოსან მოქალაქეს მინიმალურად მაინც არ იცავს და არ პატრონობს, თუ მას ხალხი ადოლფ ჰიტლერივით მხოლოდ საარჩევნო ცხვრებად და საზარბაზნე ხორცად მიაჩნია და მათ მენტორული დარიგებით „პური თუ ძვირია, ნამცხვარი ჭამეთ“ ჰკვებავს, იგი აუცილებლად განადგურდება (იხ. ჩემი კომენტარები“ გვ. 43. ბოლოდან II აზზაცი).

ნურავინ იფიქრებს თითქოს ჩვენი ახალგაზრდები, მიუხედავად ჩვენი სკოლების სისუსტისა, ისე ბრიყვები იყონ, რომ დედინაცვალი დედაზე წინ დააყენონ, მაგრამ როცა დედამ მათზე გული აიყარა და მთელი წყალობა და ყურადღება იმ ადამიანებზე გადაიტანა, რომლებსაც ეკონომისტებმა და

პოლიტიკოსებმა კომერსანტები უწოდეს, ხოლო გლეხი კაცი წუნკალი ძაღლივით მოიძულა და ღვთის საწყალობლად მიაგდო გვერდზე, იმ საწყალმა გაანალიზა ხალხური სიპრდნე: „სა-დაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა ვაჟვაცისაგან“-ო. აიყარა გული შეჩვეულ გარემოზე და დარწმუნებულმა იმაში, რომ ამ მინაზე დემოკრატიული არჩევნების დაკანონებული მთავრობის „წყალობით“ მისი საშველი არ გაჩნდება, გასწია უცხო ქვეყნებისკენ იმ იმედით, რომ იქ შეიძლება რამე სიკეთეს წავაწყდეო. ისედაც მცირერიცხოვანი, სახელმწიფოდ წოდებული ტომების გაერთიანება, რომელსაც ოდესლაც საქართველო უწოდეს „ქართული დემოკრატიის“ წყალობით საბერიკაციოდ და სადედაბროდ იქცა. ბებრებს არც სურვილი აქვთ გაქცევის და არც საშუალება. ახლა ისინი მხოლოდ ერთი იმედით „ცხოვრობენ“ რომ დარჩენილი ორი პარასკევიც მალე გაირბენს და გასწევს მუხათვერდისკენ, სადაც „არსენას ნაბდის გამლას გრძნობენ მიდამოები“... „ადგილსა ნათლისასა, ადგილსა მწვანილოვანსა, ადგილსა განსასვენებელსა, სადა იგი არა არს სალზობაი, მწუხარებაი და სულთქმაი...“

საკითხავია, რით და როდის დაიწყო ადამიანთა უმრავლესობის უუფლებო და აუტანელი ცხოვრება?! – კერძო საკუთრების გაჩენასთან ერთად ხდება საზოგადოების კლასებად დაყოფა, გაბატონებული კლასი თავისი უპირატესობის შენარჩუნების მიზნით ღარიბ უმრავლესობასთან შეთანხმებით კაცთა შორის თანაარსებობის ეგიდით ჰქმნის სახელმწიფოს და სამართალს... მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს და სამართალს ძირითადი ფუნქცია სიმართლისა და პატიოსნების დაცვაა, იგი მას მინიმალურადაც ძლივს იცავს, ხოლო მაქსიმალურზე ლაპარაკიც ზედმეტია და ხშირად მის მიერ გატარებული სამართალი, რომელსაც იგი ემსახურება, სიმართლე და ჭეშმარიტება კი არა სიცრუე და გაიძვერობაა. ადრე ბიბლიამ დაუწერა ხალხს კანონად „არ იცრუო“ ხოლო გვიან არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, შოთა რუსთაველმა ხალხებს მოუწოდა: „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“-ო, მაგრამ ამ აზრის მიმღები და ცხოვრებაში გამტარებელი არავინ გამოჩნდა. სიცრუის, მზაკვრობის და გაიძვერობის მიჩქ-

მალვა და დაფარვა ჰქმნის ისეთ მდგომარეობას, რომელშიც ამჟამინდელი ქართველი კაცი ცხოვრობს. ვალებით მუცელ-გამოტენილ საქართველოს, როგორც სტატისტიკური მონაცემებით ვგებულობთ, მარტომდენ პარლამენტში 40 მილიონერი ჰყოლიათ. ხოლო მინისტრები და ძმანი მისნი “პარლამენტარებს არაფერში ჩამოუვარდებიან.

ვინც პრეროგატივების ჯამაგირებს გადახედავს, განცვითრდება მათი სიდიდით, ამ გაძვალტყავებულ ქვეყანაში. 2018 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ინფორმაციით „2017 წლის 12 თვეში საქართველოს სახელმწიფო ელექტრო ხელმძღვანელმა 346 700 ლარი მიიღო ხელფასის სახით. საპარლამენტო ფონდის უფროსმა – 336 000 ლარი, ეროვნული ბანკის მმართველმა – 236 000 ლარი.

ამის გარდა განაწილების პრინციპის დაცვის სასახელოდ შესრულებისთვის პრემიებს ხომ მიიღებდნენ. ამას გარდა ქართველი კაცი, რომ ხელფასს დასჯერდეს და საწარმოს არაფერი გამოხრას, ეს ხომ თავის მოჭრა იქნება სოფელ-ქვეყანაში. ჯერ კიდევ წითელი მთავრობის ხელში დაცინვის საგანი იყო ის კაცი, ვინც ხელფასზე ცხოვრობდა და ახლა როცა „ნენვა-გლეჯის“ ბაზარმა თავისი განვითარების აპოგეას მიაღწია, მინისტრმა რომ ჯამაგირით სცადოს ოჯახის შენახვა და ხალხის დაცინვასაც და ცოლთან ჩხუბსაც გადაურჩეს, სიდედრს მაინც ვერსად დაემალება – „შე მინადასაყრელო, რა ეშმაკათ მინდა შენი მინისტრობა, ცოლ-შვილი თუ შიმშილით გამჭლევეო“.

ჭკვიანი კაცებისგან გამიგონია: „სირცხვილია, ლარიბ ქვეყანაში იყო მდიდარი და მდიდარ ქვეყანაში – ლარიბი“-ო. ქონებრივი დიფერენციაცია, რომელიც ცხოვრებაშია გამეფებული, მაჩვენებელია იმსაა, რომ ხალხი პოლიტიკაში ლოიალურია და ეს ლოიალურობა ეკონომიკაშიც გადადის და მკვიდრდება მთავრობისადმი უსიტყვო მორჩილების რუსული მონური და გულუბრყვილო წესი: “Правительство так делает, наверно так надо, они больше знают”.

ქართველი კაცი კი გაიძახის ევროპელი ვარ „მაინე ჯორჯიედაინე გეორგიეო“ მაგრამ ეს კვეხნაა და არა რეალობა, რა-დგან რასობრივი ევროპეიდობა არ განაპირობებს ევროპელო-

ბას. წინა აზიის ხალხები რასობრივად ჩვენსავით ევროპეიდები არიან მაგრამ თავს ევროპელებად არ თვლიან. სპარსელ კაცს გაეცინება ევროპელი რომ უწოდო, თუმცა ევროპეიდობაზე უარს ვერ იტყვის, რადგან იგი კაცობრიობის სამი დიდი რა-სიდან მხოლოდ ევროპეიდულ რასას უნდა მიეკუთვნოს, მისი სახე უფრო მეტად ჰგავს ევროპული ხალხების სახეს, ვიდრე ნეგროიდებს ან მონგოლოიდებს.

ევროპეიდობას ძირითადად განაპირობებს თავის ქალა, ქვედა ყბა, თვალები და ყვრიმალები ხოლო ევროპელობა გპი-როვნებულია ევროპული ცხოვრებსი წესით. ქართველი კაცი გამტარებელია მმართველობის რუსულ-ბიზანტიური წესისა, რომე-ლიც დამახასიათებელია აღმოსავლეთის ხალხებისათვის. ასეთი მმართველობის წესის მიხედვით მთელი სახელმწიფო მთლიანად მეფის ან დესპოტის კაპრიზებზეა დამოკიდებული. აյ ბრძენი და რეგვენი, გმირი და ლაჩარი, გლეხი და დიდგვაროვანი, სწავლუ-ლი და უსწავლელი უპრეტეგნზიონ შემსრულებელია იმ კაცის სურ-ვილებისა, რომელიც იერარქიული კიბის სათავეში ზის. არავის ისე ობიექტურად არ შეუფასებია რუსულ-ბიზანტიური მმართვე-ლობის სისტემა, როგორც გიმნაზიელმა ყმანვილმა, შემდგომში რუსეთის იმპერიის უმცროსმა ჩინოვნიკმა, მაგრამ გენიალურ-მა პოეტმა ტატო ბარათაშვილმა შეაფასა: „დიდება ღმერთო შენსა განგებას, ერთ კაცს მოჰქმადლებ ყოვლთა უფლებას და უყოფმანოდ მონებენ ერნი განურჩეველად სულელნი, ბრძენნი“. (იხ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“) გამოთქმული აზრის სა-პირისპიროდ გავიხსენოთ ვიქტორ ჭიუგოს რომანის პერსონაჟი ლუი-ფილიპე, რომელიც სიკვდილმისჯილთა აღსასრულის მოა-ხლოებისას მთელი ლამები ბორგავდა, ნრიალებდა, ვერ იძინებ-და. თვითონ იკვლევდა სიკვდილმისჯილთა საქმეებს: „ვერ მოის-ვენებდა სასამართლოსთვის და ჯალათებისთის რომ მიენებებია უბედურნი, ერთ დღეს ასეთი სიტყვებით მიმართა მეგობარს, წუ-ხელი 7 კაცი მოვუგე სიკვდილს“-ო. ლუი-ფილიპეს მდგომარეობა და უფლებები გაპიროვნებული იყო მმართველობის ევროპული წესით, რომლის მიხედვით მეფე ვალდებულია, გაითვალისწინოს სამეფო კარის შეხედულებანი, მოახდინოს მასთან თავისი აზრე-ბის შერწყმა და ისე გამოიტანოს განაჩენი.

ქართველი კაცი კი გაიძახის ევროპელი ვარო, მაგრამ მისი შეხედულებები და ტრადიციები აღმოსავლურია, თვითონ ქრისტიანული რწმენა, რომელიც ქართველი კაცის სულიერ ცხოვრებაში წამყვან როლს ასრულებდა 15 საუკუნის განმავლობაში და დღესაც ასრულებს, აღმოსავლური წარმოშობისაა.

უსამართლობა იწვევს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების შეურიგებლობას და გულისნყრომას არსებული სინამდვილისადმი, რაც ხშირად მათი სიტყვიერი პროტესტით ზოგჯერ შეიარაღებული ამბოხებით, უფრო ხშირად გაქცევით გამოიხატება (იხ. ბარათაშვილის „მერანი“ მიცკევიჩის „ფარისი“ ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდი“ გრიბოედოვის „ვაი ჭკუსაგან“ და სხვ.).

თანამედროვე ქართველი კაცი ჩავარდნილია იმ მეეტლის მდგომარეობაში, რომელიც ასე მიმართავს დამქირავებელს: „თუნდაც მოქალ, გზები არ ჩანს, რა ვქნა? ვეღარ ვიკვლევ გზას, ალბათ ეშმა დაიბადა მაწვალებს და მიბნევს აზრს“ (იხ. პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“) ამ მეეტლის მდგომარეობაშია ჩავარდნილი ქართველი კაცი, რომელსაც არ შეუძლია იმ მდგომარეობის შეცვლა, რომელიც მრავალრიცხოვან უმრავლესობას იმედებით კვებავს, ხოლო მცირე უდიდებულესობას მეფურად აცხოვრებს მრავალრიცხოვანი უმრავლესობის შიმშილის ხარჯზე, ვერასდროს ვერ შესძლებს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას.

სტატიაში დასახელებული არგუმენტების მიხედვით ცხადი ხდება რა არის ჩვენი საქართველო, რომელსაც მდიდრების-თვის და თაღლითებისთვის საკვსე აქვს კალთა აძლევს ტიტულებს დიდ ჯამაგირს და რბილ სავარძლებს, ხოლო ღარიბების-თვის პურის ქერქს ძლივს იმეტებს.

თუ სამ ძირითად ფაქტორს : რწმენას, შრომას და პოეზიას ვერ გააერთიანებს, ისე ქართველი კაცისგან არ შეიქმნება ქართველი მამაკაცის ფსიხოტიპი, რომელთანაც თანაცხოვრების შედეგად ძველ დროში გურჯისტანელი ქალები შობდნენ: ფარნაოზებს და გორგასლებს, გობრონებს და დავითებს, თამარებს და ქეთევანებს, თედორეებს, დიმიტრებს და სააკაძეებს. წმინდა ნიულის ილუზიაა იმაზე ფიქრი, რომ იმათმა ევროპელ და

აზიელ მამაკაცთა ფსიქოტიპებთან თანაცხოვრების შედეგად შობონ ახალი ჰერაკლეები, რომლებმაც ავგიას თავლად ქცეული საქართველოს დაღაგება და გასუფთავება უნდა შესძლონ.

ავგიას თავლად ქცეული საქართველოდან გაქცეული ქალი თურქების და ფრანგების მუხრუჭებივით მძლავრ მკლავებშე-მოჭდომილი შველას თხოულოს და საწყალობლად გაპკივის: „ვაჲ ცოლსა ცუდის ყმისასა“-ო, მაგრამ მშველელი არავინაა, ყმაწვილი კაცები გარბიან სამშობლოდან და უცხოეთში ექცებენ თავშესაფარს ხოლო ორბარასკევდარჩენილ ბებრებს ის „ომედი“ დარჩენიათ, რომ ანი მიქელ გაბრიელის წყალობით გა-დაბარგდებიან მუხათვერდში, სადაც როგორც ზემო ითქვა: „არა არს მწუხარებაი,,სალმობაი და სულთემაი“

ჭ.შ. ქართულმა ეროვნულ-გამანადგურებელმა მოძრაობამ თავისი შემოქმედების 30 წლიან პერიოდში შესძლო: 1. თა-ვის მინების 20%-ის დაკარგვა. 2. ინდუსტრიული ქალაქების გადაქცევა კომერციული ჯიხურების ქალაქებად. 3. ისედაც ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის მოშლა. 4. კომერსანტე-ბის აღჭურვა ისეთი უფლებებით, რომლის მსგავსი არ იცის ვაჭრობის ისტორიამ, რამაც ამერიკის პრეზიდენტს ათქმევინა: „საქართველოში საუკეთესო ბიზნეს-გარემოაო“. 5. სკოლები, რომლებიც ძველ დროში პარტიის პოლიტიკის პროპაგანდის უშრეტ წყაროს წარმოადგენდნენ, მაგრამ რაღაც მანქანებით ხელოვანი მასწავლებლები ახერხებდნენ ისინი სახალხო გა-ნათლების ფუნქციათ გამოეყენებიათ, ახლა ბიზნესის ერთგულ მონებად გადააქციეს, სადაც ყმაწვილებს ასწავლიან, რომ ბიზ-ნესზე სამართლიანი და ფართო საზოგადოებისათვის სასარ-გებლო კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არაფერი შექმნილაო. 6. უცხოური სასაქონლო პროდუქციის შემოსატანად კარების ფართოდ გაღება, ადგილობრივი საწარმოების გაუქმების ხარ-ჯზე. 7. იაფი მუშახელით ევროპის ქვეყნების მომარაგება და მის მაგივრად უცხოელების შემოყვანა და დამკვიდრება.

გასაკვირია, ის მდგომარეობა, რომ უცხოელი პოულობს ჩვენს მიწაზე იმას, რაც ჩვენს კაცს ვერ უპოვნია. ეს საკი-თხი ნამდვილად საჭიროებს შესწავლას არა ჰაი-ჰარად არამედ გულდასმით და მეცნიერულად.

ამ ავგიას თავლად ქცეულ ქვეყანაში მხოლოდ კოსმოპოლიტური და ანტირუსული პროპაგანდისტული მანქანა მუშაობს, შვეიცარიულ საათივით.

ქვეყანას მუცელი რუსული „კალბასივით“ აქვს გამოტენილი უცხოელთა ვალებით და წყალს მიაქვს მდაბიო ხალხის ყველა იმედი მდგომარეობის გამოსწორების შესახებ: მეგრელ კაცს უთქვამს: „წყალში ვხნავთ და წყალში ვთესავთ, წყალს მიჰქონდა ჩვენი ბედიო“ ამ რთული თანწყობილი წინადადების მესამე ნაწილის ზმნას თუ ანტყო დროში ჩავსვავთ, მივიღებთ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რაც დაგვიმტკიცებს რომ მარტო ძველად კი არ მიჰქონდა, ახლაც მიაქვს ჩვენი ცუნდრუკა და თაღლითი პოლიტიკოსების წყალობით.

ერთადერთი „სიკეთე“, რომლითაც ეროვნულ-გამანადგურებელმა მოძრაობამ თავი ისახელა, გამოიხატა იმით, რომ აასრულა გლეხის №1 საზრუნავი: მისი შვილი არ გამოსულიყო კოლექტივის მუშა. რაც შეეხება მის ახალ საზრუნავს, რომ ცოლ-შვილი უცხოეთში გადახიზნოს და დააბინაოს, ჯერ-ჯერობით მისი ასრულების საქმე აქტიურად მიმდინარეობს და მომავალი ვნახოთ რას გვეტყვის.

ზელიქ ჩაკვეტაძე
10.V.2022წ.

მექანიკური სულის პრინციპები

„დე ზევსმა მეხი დამატებოს, შავმა გრიგალმა
მიწით აღმგავოს, ქედს არ მოვიხრი, არა ვარ მონა“
ესქილე

„სინამდვილის სიმძიმის ქვეშ მოქალაქეს ეპატიება
ქედის მოხრა, ხელოვანი აქ უნდა გაიმართოს“
კოტეტიშვილი

„მონაა იგი, ვინც უგუნურს ემსახურება, ან ლირსეულის
ნინააღმდეგ ამხედრებულა“
მილტონი

„ადამიანი მეამბოხედ არის შექმნილი“
დოსტოევსკი

ამერიკელ ცნობილ მომღერალს მეგობარმა უთხრა: შენს
სიმღერებში მეამბოხის ხმა იგრძნობაო, – კარგია, თუ ეს ჭეშ-
მარიტად ასეა, რადგან ნამდვილი ხელოვანის, რომელიც მრა-
ვალი უსამართლობას ხედავს კაცთა ცხოვრებაში, ხმაში მეამ-
ბოხის პროტესტი უნდა იგრძნობოდესო, იყო პასუხი.

კაცთა შორის ურთიერთობაში მეამბოხეობა საფუძველს
იღებს იმ დროიდან, როცა ადამიანებმა გვაროვნულ წყობილე-
ბაში არსებული ურთიერთობანაგრძნობის ჰარმონია უარყვეს
და საზოგადოების კლასებად დაყოფა დაიწყეს. განაწილების
პრინციპის დარღვევით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ და-
ზარალებულში ჩაასახლა მეამბოხე სული, რომელიც მანამდე
მასში არ არსებობდა. საზოგადოება გაიყო ორ არა ტოლ ნაწი-
ლად, მდიდარ უმცირესობად და დარიბ უმრავლესობად. ამ ორ
ფენას შორის ახლო მომავალში ჩამოყალიბდა კონფორმისტთა
ფენაც, რომლის წარმომადგენლებს შეიძლება ბუნჩულა ბიჭები
ვუწოდოთ. მათვის დამახასიათებელია დამკვიდრებულ მდ-
გომარეობასთან შეგუების დიდი უნარი, რაც შეეხება ბრძოს,
იგი დიდ შემგუებლობას მხოლოდ სიცრუისადმი იჩენს, უყვარს
ლიტონი სიტყვა, იოლად აგიტირდება და გადადის შეტევაზე,
მაგრამ მიზანთან მოსვლამდე იშლება და მორჩილი ხდება.
გარკვეულ პერიოდში ბუნჩულა ბიჭები უპრეტენზიონი არიან

პოლიტიკური ცხოვრების მიმართ, მაგრამ იოლად პოლიტიზირდებიან და უპრეტენზიოთ გადადიან ძლიერის (თუნდაც უსამართლოს) მხარეზე.

მეამბოხეთა პროტესტი განსაკუთრებით გააქტიურდა მონათმფლობელური ფორმაციის დროს. ყოფილა შემთხვევა ჩვენს ერამდე 2000 წლის წინათ, რომ ეგვიპტეში აჯანყებულ მონებს დაუმხვიათ ფარაონების ხელისუფლება და თვითონ გაბატონებულან. მაგრამ მხოლოდ ორ წელიწადს ეწეოდნენ სამართლიან მმართველობას. შემდეგ კი იმავე დებულებებით დაუწყიათ მუშაობა, რომლებითც ფარაონები მუშაობდნენ. ანალოგიური შემთხვევა მოხდა რუსეთის თვალუნვდენელ იმპერიაშიც XX საუკუნის ათიან წლებში. კომუნისტები წარმოებული დოვლათის განაწილების სამართლიანობის პრინციპს გარკვეულ წილად იცავდნენ 50-იან წლებამდე. ხოლო 50-იანი წლების შემდეგ პოლიტიკური უფლებებიც, წარმოებული დოვლათის განაწილების პრინციპიც და სამართალიც თავიანთ ინტერესებს დაუქვემდებარეს და შემდეგ გაძვალტყავებული იპერია „პერესტროიკის“ მესვეურებს მიუგდეს საჯიჯგნად.

მეამბოხეთა ორი კატეგორია არსებობს: 1. პროგრესული და 2. რეგრესული. აქედან რეგრესული ამბოხებების გამარჯვება უფრო ხშირად ხდება ვიდრე პროგრესულისა, რადგან რეგრესულ ამბოხში ხშირად და აქტიურად ებმებიან გაბატონებული კლასების წარმომადგენლები და იოლად იერთებენ ბრბოებს. რაც შეეხება პროგრესულს, მას ბრბოების მხარდაჭერა არასდროს ჰქონია და არც ექნება, რადგან პროგრესის და რეგრესის გაანგარიშებას, რომ ხალხი შესძლებს, ის ბრბოს აღარ ეკუთვნის და მხოლოდ პროგრესულად მოაზროვნებს მიჰყვება და თვითონაც პროტესტანტი ხდება.

რეგრესულია, ამბოხი, რომელიც ქვეყანას უკან ექაჩება. ასეთი მეამბოხეები შეპყრობილი არიან ვიწრო ეგოისტური ინტერესებით და ცდილობენ თავისი შეხედულებები შემოახვიონ თავზე გარემომცველ სამყაროს: უზრუნველყონ თავისი ჯგუფის კეთილდღეობა და ამ მიზნით, თუ მას საშუალება მეიცემა, თუნდაც მთელ ქვეყანას გაიმეტებს. ასეთ ადამიანებს, ვინც კარგად დაუკვირდება, შეამჩნევს, რომ ისინი ღირებულება-

თა შეფასებას კი არ ახდენენ, არამედ მთლიანად უარყოფენ ყველაფერს ძველს, რომელიც მის ხასიათს არ ეწნება და მას არაფერში არგებს. ასეთ კაცებს ასოკირკიტებს ეძახიან. ისინი ყველაგან და ყველაფერში უარყოფითს ეძებენ და უარყოფენ ყველაფერს იმას, რაც მათ საქმიანობას და ხასიათს არ ეწნება და მთელი ცხოვრების მანძილზე ნაგავს იქექებიან ქათმები-ვით.

მეამბოხეობას გააჩნია თავისი საფუძვლები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მეამბოხე სულის მატარებელი კაცის შესასწავლად: 1. ეკონომიკური; 2. იდეოლოგიური; 3. პოლიტიკური; 4. კულასობრივი; 5. ეროვნული და 6. ზნეობრივი. აქ დასახელებული ფაქტორები თავს იყრის მეამბოხე კაცის სულში და სანამ კაცი მეამბოხეობას დაიწყებდეს დისიდენტი ხდება. იგი არ იზიარებს გაბატონებულ ტრადიციებსა და კაცთა შორის არსებულ ურთიერთობებს და სხვაგვარად იწყებს აზროვნებას, რომლის მეშვეობით იგი მეამბოხე ხდება. მეამბოხე პროტესტანტია გაბატონებულის, უსამართლობის წინაშე. არ ემორჩილება მის დიქტატი და იწყებს ზრუნვას იმაზე, რომ მას თავისი სურვილები და შეხედულებები მიაღებინოს. მაგრამ აქ ანგარიში უნდა გაეწიოს მის სურვილებს. ნასწავლი კაცები ამბობენ: „სურვილების მიხედვით იცნობა ადამიანი“ -ო. კარგია თუ კეთილი სურვილები აქვს კაცს საზოგადოების მიმართ, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი მამასახლისად ავირჩიოთ, რადგან მამასხლისს კეთილ სურვილებთან ერთად უნდა ჰქონდეს საზოგადოების მართვის საშუალოზე მაღალი უნარი, რომლის გარეშე საზოგადოებას მისი მამასახლისობა დააზარალებს. საზოგადოების დამზარალებელია მეამბოხეთა ის კატეგორია, რომელსაც ჩვენ რეგრესული ვუწოდეთ. ისინი ცხოვრებას პროგრესის მაგივრად რეგრესისკენ ექაჩებიან, ამიტომ მათ ბრძოლაზე მხარის დაჭერა საზოგადოების პატიოსან და გონიერ წევრებს არ ეკადრებათ, რადგან მათი მოვალეობაა ბრძოლა ყოველგვარი რეგრესის წინააღმდეგ და აქტიური მხარდაჭერა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისადმი.

ლიტერატორები დიდ ყურადღებას უპყრობენ მეამ-

ბოხევებს, ხოლო თეისტები საერთოდ არ სცნობენ მათ, რადგან ადამიანის შემოქმედების კრედიტი მორჩილებას და პატრონი-სადმი ძალურ ერთგულებას მიიჩნევენ. ისლამური დოგმების წინააღმდეგ ამხედრებული დიდი პოეტი და მეცნიერი ომარ ხაიამი წერს: „მონობის სული იმალება კერპშიც, ქაბშიც, მონა-მორჩლების ხმები ისმის ზართა რეკვაშიც...“ იგი ხმას იმაღლებს იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ადამიანებისგან უსიტყვოდ მორჩილებას მოითხოვენ.

ყველაზე დიდ მეამბოხედ და მოჯვანყედ აღიარებულია თრაკიელი მონა სპარტაკი. მან თავისი ორგანიზატორული ნიჭით შეჰკრა მონათა იმოდენა არმია, რომ რომს აღებით დაემუქრა. იგი დამარცხდა, მაგრამ კაცობრიობას აგრძნობინა, რომ მონა ანგარიშგასაწევი ძალაა და არა მონათმფლობელის უპრეტენზიო მსახური.

თეისტებისათვის უჭკვიანესი და უძლიერესი მეამბოხე სატანაა, მაგრამ იგი საუბედუროდ მონობის გასაუქმებლად კი არა გასამტკიცებლად იბრძვის, უამრავ ცოდვილს მიერეკება ჯოჯოხეთის ჯურლმულებში და თავის პოზიციას ამაგრებს.

ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ V საუკუნეში აისახა ბრძოლა ადამიანის უფლებების დასაცავად. როცა ქართლის პიტიახშმა ვარსქენმა ქრისტიანობა უარყო და მაზდეანობა მიიღო, მის წინააღმდეგ აღიმართა მისი კანონიერი ცოლი შუშანიკი, რომელიც თავისი ინტერესების დაცვას შეეწირა. თავისი მეამბოხე სული შესწირა ქრისტიანობის დაცვას, რომელთანაც ქართული ეროვნული ინტერესები უკვე შეერთებული იყო. შუშანიკმა მონამეობრივი პროტესტით საზოგადოებას აგრძნობინა, რომ საჭირო იყო დედაკაცის უფლებების დასაცავი ბრძოლა.

რაც შეეხება შოთა რუსთაველს, მისი წესტან-დარეჯანი უდიდესი დამცველია ქალის უფლებებისა. მან, მშობლების მიერ გასათხოვრად გამზადებულმა ქალმა, არ აპატია მშობლებს მის უკითხავად მისი ბედის გადაწყვეტა და მასზე დასაქორწინებლად მოწვეული საქმრო ტარიელს მოაკვლევია. ამით მისმა მეამბოხე სულმა საზოგადოებას აგრძნობინა, რომ ქალის ინტერესების გაუთვალისწინებლობა მისი ქორწინების საქმეში

უსამართლობა იყო. მისი ბედი დედოფალმა ისე მარტივად და თვითნებურად გადაწყვიტა, რომ მისთვის არც შუტყუბინებია თავისი გადაწყვეტილება: „დედოფალმან თქვა: ხვარაზმშა მე-ფეა მორჭმით მჯდომელი, მათსაცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდეს რომელი?“

დედოფალს, როგორც გამოცდილ დედაკაცს შეუძლებელია არ შეემჩნია მისი ქალიშვილის სიიყვარული ტარიელისადმი. მაგრამ ეს გრძნობა მან ძველი ტრადიციების დამცველმა ქალ-მა, არაფრად ჩააგდო, იმიტომ, რომ წესის თანახმად ქალიშვი-ლი უნდა დაქორნინებულიყო იმაზე, ვისზეც მშობლები, ბიძები და ბიცოლები მიუთითებდნენ.

საუბედუროდ არც ახალ საქართველოში არ აძლევენ ქალს თავისი ბედის გადაწყვეტაში უფლებას და მშობლები მათ დებ-თან და ძმებთან ერთად დააკანონებენ ქალიშვილის ქორნი-ნების საკითხს. მართალია, საქმე ფიქტიურად მმაჩის ბიურო-შიც ფორმდება და ეკლესიაშიც, მაგრამ ჩვენთვის, თუ ქალის უფლებების დაცვა გვსურს, ფაქტიური ქორნინება უნდა იყოს დასაყრდენი და არა ფიქტიური.

მეამბოხე სული ცხოვრების ყველა სფეროში უხვად პოუ-ლობს მასაზრდოებელ წყაროს, მაგრამ იგი ყველაზე მეტად მაინც სოციალურ ფაქტორებში იდგამს ფეხს. XIX საუკუნე-ში ქართველი კაცი გებულობს საფრანგეთში მიმდინარე დე-მოკრატიული პროცესების მოთხოვნების აზრს და აღფრთო-ვანებულია „ნაპალავანის“ მიღწევებით. უკვე იწერება ილია ჭავჭავაძის ლექსი „... ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში“-ო. ხოლო დიდი ხნით ადრე გაისმა ალექსანდრე ჭავჭავაძისეული შეფასება კლასობრივი საზოგა-დოებისა: რომ „...ზოგნი კი არიან გამდიდრებულნი, განა რითა ძმანო, „მდაბალთ ჩაგვრით მტაცებლობით და ხვეჭით“ „ნაპა-ლავანის“ ქვეყანაში იწერება ვიქტორ პიუგოს ვრცელტანიანი რომანი „საბრალონი“, რომელიც ამტკიცებს: რომ „მდიდრების სამოთხე ღარიბთა ჯოჯოხეთისგანაა შექმნილი“. ქართულში მეამბოხე სულმა ახალ ცხოვრებასთან თანაცხოვრების შედე-გად ფოლკლორულ პოეზიაში შობა არსენა ოძელაშვილის პერ-სონა, რომელიც ზოგადი სახეტიპია სოციალური უსამართლო-

ბის წინააღმდეგ ამხედრებული გლეხისა. მისი შემოქმედების კრედომ: „მდიდარს ართმევს, ლარიბს აძლევს“, იგი ხალხის უსაყვარლეს გმირად გახადა და მას უკვდავების სული შთაბერა. საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ ხალხის უსაყვარლესი გმირი, რომლის შესახებ ცხონებული ილია წერდა: „... ოცნება ხალისიანი არსენას ამბით მე მეზრდებოდა, მიყვარდა მე ის კეთილდღიანი და არსენობა მენატრებოდა“-ო. ქართულმა კომერციულმა აზროვნებამ, რომელმაც ქართველი კაცი ფულის უერთგულეს მსახურად გახადა ქართული პროგრესული ზნეობრივი ტრადიციები არსენას მოღვაწეობასთან ერთად ძველი ჩვარივით მოისროლა (იხ. „ჩემი კომენტარები ჩვენს ცხოვრებაზე“ გვ. 65. საჯარო ბიბლიოთეკაში) ყმანვილებს არსენობის და კაიკაცობის მაგივრად სპეცულაციაზე დამყარებული კომერციისა და ბიზნესის პროგრესულობა უქადაგა, მაგრამ არსენას უარყოფა არც ერს და არც ბერს სიკეთეს არ მოუტანს. ერმა ისე კარგად ნეტავი ყველაფერი იცოდეს, როგორც ის იცის, რომ მას არსენასთან საჩხუბარი არაფერი აქვს. „ალგეთს გაზრდილო ვაჟუაცო, წვერი გიხდება ხმლისაო, სუყველას საყვარელი ხარ ბატონისა და ყმისაო“ ასეთი კაცის უარმყოფელი ჭკუაგამოფიტული კაცუნები, ისე ეჯაჯგურებიან ამ გოლიათს, როგორც ლილიპუტები გულივერს და აზრზე არ არიან, რომ ამ ჯაჯგურით ხელს უწყობენ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული მეამბოხე რაინდის გაძლეირებას.

კოლხეთის (ფაზისის) საერთ-სამეცნიერო
საერთაშორის აკადემიის აკადემიკოსი
ზელიმ ჩაკვეტაძე 12.VI.2022წ.

თემის ოსპურანტიზმი, ჯოფოლის პაზუსი და კლუდის მსპანაცია

„შორსაა მართლგანკითხვა კაცთა მოდგმისთვის“
დანტე

„ბნელით არის მოცული ხალხის სული და ბნელი
ხომ ბუდეა ცოდვისა“
ჰიუგო

ვაჟა-ფშაველას პოემებში აღწერილი სივრცე კავკასიის ხევ-ხუვებში მცხოვრები ქისტებისა და ხევსურების სოფლებით შემოიფარგლება.

მისი „სტუმარ-მასპინძლის“ და „ალუდა ქეთელაურის“ ძირითადი თემაა იმ შუღლის, მტრობის, დაუნდობლობის და სხვა მანკიერი ჩვევების გამომზეურება, რომლითაც ჩვენი წარსული სუნთქავდა. ხოლო – დრომოქმული უარყოფითი ტრადიციების უარყოფა და მის მაგივრად პროგრესული სიახლის დამკვიდრების მცდელობაა მათი იდეა.

„სტუმარ-მასპინძელის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი იყო ჩვეულებრივი წევრი თემისა, რომელიც არ განირჩეოდა სხვა თანატოლებისგან. მასში არც დისიდენტი ჩანდა და არც მეამბოხე, მაგრამ თითოეული ქართველის მიერ ცნობილი ინციდენტის შემდეგ იგი დისიდენტი (სხვაგვარად მოაზროვნე, რჯულ-განდგომილი, გაბატონებული ტრადიციის უარმყოფელი) გახდა. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ თემშიც და ჯოყოლაშიც ერთმანეთს დაუპირისპირდა ორივე მათგანის მიერ ადრე დიდადმოწონებული და დაკანონებული ტრადიციები.

ჯოყოლა არ არის თემის წინააღმდეგ აბსოლუტურად ამხედრებული მეამბოხე. ამას არ მოუთხოვია თემისგან ბიბლიური ჭეშმარიტების: „გიყვარდეთ თქვენი მტერნი, დალოცეთ თქვენი მაწყვევარნი, კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენთა მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის“, დაცვა მისი ამბოხი მიმართულია თემის მხოლოდ იმ ტრადიციის დარღვევის წინააღმდეგ, რომელსაც სტუმარ-მასპინძლობას ეძახიან.

„რას სჩადით? – შემოუძახა, ვის სტუმარს ბოჭავთ თოკითა? რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა, თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?! ... დღს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა, მითამც მე ვერ ვუდალატებ, ვფიცავ ღმერთს ქმნილი იმისა... ვის გაუყიდავ სტუმარი? ქისტეთს სად თქმულა ავადა?! თვის რჯული დაგვინყებათ, მიტომ იქცევით ავადა“.

დამკვიდრებული ტრადიციის უარყოფა ჯოყოლამ თემს არ აპატია და ამ საკითხში იგი გახდა თემის შეურიგებელი მოწინააღმდეგებ. ხოლო რაც შეეხება სისხლის აღების ტრადიციას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ იგი რეგრესულია, მის წინააღმდეგ („გულში რა ჰქონდა, ეს არავინ იცის“) მას პროტესტი არ გამოუთხვამს: „მე გთხოვ, გაუშვა, მუსაო, ნუ სტანჯავ უდიერადა, როცა გასცდება ჩემს ოჯახს, იქ მოეპყარით ავადა“ იგი ვერ უარყოფს თემის მიერ მიღებულ „მტრის მტრულად დახვედრის“ დებულებას და მოსწონს თუ არა, მაინც ითვალისწინებს მისი შესრულების აუცილებლობას, რასაც მისი ხევსურებთან მარტო შებრძოლება ამტკიცებს.

ჯოყოლას ამბოხი თემის წინააღმდეგ გამოწვეულია თვით თემის მიერ ტრადიციულად დადგენილი „სტუმრის ხელშეუხებლობის“ კანონის დარღვევის გამო. თემი ამ შემთხვევაში დამნაშავეა, როგორც ჯოყოლას, ისე საკუთარი სინდისის და ღმერთის წინაშეც. იგი უხეში ძალით არღვევს სამართალს და ორივე ფეხით ებმევა სატანას ხაფანგში. თემმა თავის მიერ დანესტული პროგრესული ტრადიცია შეურისძების მსხვერპლს შესწირა. ამ შემთხვევაში წამყვანი როლი ავტორიტეტმა შეასრულეს. ხალხი არაა აქტიური შერისმაძიებელი, პირიქით, იგი ლოიალურობასაც იჩენს გარკვეულ შემთხვევაში, როცა ზვიადაურს ჰკლავენ: „ცოდვაა, ყველა ფიქრობდა, ხალხის გული და გონება სასინანულოდ მიჰქოდა“.

ჯოყოლა მწვავედ განიცდის ქისტების გაურკვევლობას: „ქისტებს ორგული ვგონივარ, გამდგარი თავის რჯუზღლედა. ჰეთიქრობენ, ვითომ ჯოყოლამ თავი გაჰყიდა ფულზედა“. თემი ვერ გებულობს მის კაცობას. მტერთან მარტოდ შებმული ჯოყოლას სიკვდილს იგი გულცივად შეხვდა: „ქისტ გაუხარდათ დიახაც, მოჰკლან, თუ მოჰკლეს ახია!“ და იგი საგვარეულო

სასაფლაოზეც არ დაასაფლავეს. აღაზა ამბობს: „სასაფლაოც კი შემიკრეს, რომ დამემარხა ცხედარი, ჯოყოლამ გვიღალათაო, მისი ადგილი იგ არი“.

იშვიათობაა, როგორც ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში ცოლსა და ქმარს შუა ისეთი სულიერი სიახლოვე, როგორიც ჯოყოლასა და აღაზას შუა არსებობს. ამ პოემას, რომელშიც ნათლად იგრძნობა ლერმონტოვისული აზრი ერთსულოვნებაზე: „ახლა მივხვდი, რომ ჰქონია თანაგრძნობა სულთან სულსა“. ისეა სავსე მდიდარი პოეტური ფასეულობებით, რომ რამდენიმე სადისერტაციო თემა შეიძლება დაიწეროს „მტრის მტრულად დახვედრისა“ და „სტუმარ-მასპინძლობის“ თემაზე.

ჯოყოლამ თემის წინააღმდეგ გაილაშქრა კი არა, პირიქით, მთელი თავისი შესაძლებლობებით შეეცადა მის მიერ დაკანონებული ტრადიციის დაცვას, მაგრამ ამის გაგება თემს არ შეუძლია და თავისი შეუგნებლობის გამო ღუპავს თავის რჩეულ შვილს.

ჯოყოლა თავისი მოთხოვნით მინიმალისტია. მან დაუმორჩილებლობა გამოუცხადა თემს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მინიმალურ მოთხოვნაზეც უარი განუცხადა: „მე გთხოვ, გაუშვა, მუსაო, ნუ სტანჯავ უდიერადა, როცა გასცდება ჩემს ოჯახს, იქ მოეპყარით ავადა. ვის გაუყიდავ სტუმარი, ქისტეთს სა დთქმულა ამბადა?!“ მუსამ იმის მაგივრად, რომ დაეკმაყოფილებინა ჯოყოლას მოთხოვნა, ასეთი პასუხი მიაგო: „... აჰყეფდი ქოფაკივითა, აბდა-უბდაობ შტერადა, ამ გიაურის გულისთვის ძმებსაც ეპყრობი მტერადა“ მაშინ დამცირებულმა ჯოყოლამ: „იძრო ხანჯალი, მუსასა გულში უმარჯვა ვადამდე“ მუსამ უხეირო პასუხით აიძულა ჯოყოლა, რომ მისთვის ხანჯალი დაესო გულში.

თემი და მისი ხელმძღვანელი კულტურის თუნდაც საშუალო დონეზე რომ მდგარიყვნენ, არც მუსა დაიღუპებოდა და არც ჯოყოლა. ზვიადაური მართალია კარგი მეომარი იყო, მას არც ფიზიკური ძალა აკლდა და არც გონებრივი, მაგრამ ჯოყოლას ჭიშკრიდან გასვლის შემდეგ სოფელს მაინც ვერსად გაექცეოდა და თემი მისი დასჯით თავის ბოროტ ჭიას მაინც გაახარებდა, მაგრამ ამის აზრი საუბედუროდ არც მუსას გააჩნდა და არც თემს.

„სტუმარ-მასპინძლის ანალოგიურთა „ალუდა ქეთელაურის“ თემაც და იდეაც. ჯოყოლას და ალუდას ორივეს სოფლიდან მოკვეთა არგუნა თემმა. იმ თემმა რომლის უფლებები ასე შეახსენა ჯოყოლას მუსამ: „თემს რაც სწადიან, მას იზამს თავის თემობის წესითა“-ო.

ალუდა ქეთელაური მინიმუმით არ კმაყოფილდება თემისა-გან. იგი მაქსიმალისტია. ჯოყოლა ცდილობს, რაღაც საერთო გამონახოს თემთან მაგრამ არაფერი გამოსდის. არც მამულიშვილური გრძნობა გამოუყვითა თემისაგან და მარტო შეაკვდა მტრის ჯარს. ალუდას დათმობაზე და მორიგებაზე თემთან არავითარი განაცხადი არ წარუდგენია. მან თემთან ურთიერთობა გაწყვიტა და გამოაცხადა: ... რად სწყრებიან ხევსურნი, რადა ტყვრებიან ჯავრითა?! მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოსვჭრი მარჯვენას მაგათ ჯიბრითა, წესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჯერ დანითა, ვაი ეგეთსა სამართალს მონათლულს ცოდვა-ბრალითა“ ამ ცოდვა-ბრალით მონათლულმა სამართალმა დააპირისპირა ალუდა თემთან და ღმერთთან (ეკლესიასთან) ალუდას ქცევით გაღიზიანებულმა ბერდიამ მოუწოდა მრევლს: „ნუ დაინანებთ, ექმენით ცოლ-შვილის ამატირენი, მოკვეთილ იყოს სხვა ქვეყნის ცა-ლრუბლის შენამზირები“.

თემიდან მოკვეთილი ალუდა მიემართება უცხო თემისკენ მთელი ოჯახით თავშესაფარის საძიებლად: „გადვიდენ, ქედი გადავლეს, თხრილი აღარ ჩანს კვალისა, ერთ მაისმა შორითა მწარე ქვითინი ქალისა“. ქალის ქვითინი მაუწყებელია ალუდას ოჯახის დალუპვის დასაწყისისა.

ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები ჯოყოლა და ალუდა თავიანთი შეხედულებებით აღარ ემორჩილებიან თემს. თემი ვერ გებულობს ახალი ცხოვრების ახლებურ მოთხოვნებს და ღუპავს თავის გამოზრედილ შვილებს, რომლებიც მათთვის გაუცხოებული არიან და იმის მაგივრად, რომ პატრონობა გაუწიოს, თავისი უხეირო მოქმედებით: ღალატით, დაცინვით და სხვადასხვაგვარი შევიწროებით შეზღუდულებს ან ადგილზე ღუპავს, ან უცხო მხარეზე მიერეკება.

ბრბოების ასეთმა დამოკიდებულებამ თავისი რჩეული

შვიელბისადმი, ათქმევინა ვაჟა-ფშაველას „თუ ვერ მოვუვლით, ვერ ვუპატრონებთ, კარგი შვილები რად გვებადება?!”-ო.

XX საუკუნეში ბატონმა შალვა ნუცუბიძემ, ჩვენი ცხოვრების ღრმად მცოდნე მეცნიერმა, საქვეყნოდ ამხილა ის დიდი „ლვანლი“, რომელსაც ჩვენში იჩენენ ნიჭიერი ადამიანების მიმართ: რომ „საქართველოში ყველაფერს გაპატიებენ გარდა ნიჭისა“. თუმცა არც სხვა ხალხები იჩენენ ნიჭიერი ადამიანების დევნაში და შვინწროებაში პასიურობას. მაგრამ ამ „საქმეში“ ქართველები რომ პირველობას არავის დაუთმობენ, ამის დასამტკიცებლად გამოდგება XX საუკუნის მსოფლიოს პოლიტიკური რუკის შემცვლელის იოსებ სტალინის სიტყვები: რომ „... ნიჭიერი კაცები თბილისში ქუჩებში გიყრიათ“ ხოლო პერიფერიებში რაც ხდება, ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ ამის ირგვლივ ლაპარაკი ვფიქრობ, რომ საჭირო აღარ არის.

კოლხეთის (ფაზისის) საერო-სამეცნიერო
აკადემიის აკადემიკოსი, ზელიმ ჩაკვეტაძე

შექმნელისა და შექმნილის ურთიერთობა

„ჩვენი პლანეტის ისტორიის შესწავლა ცხადყოფს,
რომ სიცოცხლის ნარმოშობა და განვითარება
ბუნებრივ კანონზომიერ პროცესს ნარმოადგენს“
ოპარინი

„ამბობენ: ღმერთმა შექმნა ადამიანი მსგავსად
და ხატად თვისად უნდა ითქვას: ადამიანმა
შექმნა ღმერთი მსგავსად და ხატად თვისად“.
ლიხტენბერგი

მწერალი აკიმუშკინი წერს: რომ 5 მილიარდი წლის წინ
მზის ირგვლივ არ არსებობდა არც ერთი პლანეტა. მის ირ-
გვლივ მხოლოდ კოსმოსური მტვერი ტრიალებდა, რომელიც
შედგებოდა ძალური ველებისაგან, პლაზმებისაგან, პროტონე-
ბისაგან, ნეიტრონებისაგან, ელექტრონებისაგან და ატომები-
საგან. ეს მტვერი, როგორც მწერალი ამბობს, მჭიდროდ იკუმ-
შებოდა, ნელ-ნელა სქელდებოდა, შემდეგ ფენებად დაიმალა
და თითოეული ფენა შეწებდა მაგარ გიუური სისწრაფით მძრუ-
ნავ სფეროდ. იმვა პლანეტები მზის ოჯახში, მესამე სფერო
არის დედამიწა.

არაცოცხალი მატერია თავისი განვითარების გარკვეულ
საფეხურზე ხელისშემწყობ პრიობებში უეჭველად ცოცხლდე-
ბა. დედამიწას საამისო პირობები შექმნა 3 მილიარდი წლის
წინ. ოკეანების თავთხელებში გაჩნდა სიცოცხლე მარტივი
ორგანიზმების სახით.

ორნახევარი მილიონი წლის წინ დედამიწაზე გაჩნდნენ თა-
ნამედროვე ადამიანების შორეული წინაპრები: ჰომინიდების,
ჰომინ რუდოლფების, ჰომო ერექტუსების, ჰომო ჰაბილისების
და ჰომო საპიენსების სახით. როგორც მეცნიერები ამტკიცე-
ბენ, ჩამოთვლილ ჰომოებში ყველაზე მეტად ჰომო საპიენსი
უახლოვდება თანამედროვე ადამიანს.

ჩვენი მსჯელობის საგანია შემქმნელისა და შექნილის ურ-
თიერთობა და გარკვევა, თუ ვინ არის შემქმნელი და ვინ არის
შექმნილი ორ არსებას შორის, ღმერთმა შექმნა ადამიანი თუ
ადამიანმა ღმერთი. ვინ არის ადამიანის ავტორი ღმერთი თუ

კოსმოსი. კოსმის რომ პირველადია ყველაფრის მქმნელ-გარდამქმნელიც ის უნდა იყოს, ეს სადაო არ არის. მან შექმნა მიწა იმ 23 ელემენტისაგან რომლებიდანაც შედგება ფლორაც, ფაუნაც და ადამიანიც და მათთან ერთად ყველაფერი, რაც ცოცხალ არსებადა ცნობილი და არაცოცხალიც.

ყველაფერს, რაც კი არსებობს ამ უკიდეგანო სამყაროში კონკრეტული თუ აბსტრაქტული სახით, თავისი მისია აქვს, როგორც ობიექტის, ისე თავისი თავის წინაშე. კოსმოსმა შეასრულა თავისი მისის ნაწილი მზის და მისი ოჯახის წინაშე. ჯერ მზე შექმნა და დაავაუკაცა, შემდეგ მრავალშვილიანი ოჯახი შეაქმნევინა და მას შემდეგ შეუბრკოლებლად ამაგრებს სასიცოცხლო ძალებით თავისი შესაძლებლობის მიხედვით. არ არის გამორიცხული რომ ამ უკიდეგანო სამყაროში, რომელშიც უთვალავი რაოდენობით გალაქტიკები არსებობენ, მზისთანა ოჯახი მრავალ პლანეტას ჰყავდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ჩვენი კვლევის საგანი არ არის. ჩვენი მსჯელობა მიემართება იმ მიმართულებით, რომლითაც მან უნდა მიგვიყვანოს იმ სუბსტანციასთან, რომელიც სიცოცხლის და მასთან ერთად აადამიანის შემქმნელია. რაც შეეხება პომოებს, რომლებიც პლანეტაზე უხეში გაანგარიშებით ორნახევარი მილიონი წლის წინათ გაჩნდნენ, წარმოადგენდნენ თანამედროვე ადამიანების შორეულ წინაპრებს.

დედამიწის მცხოვრებთა დიდ ნაწილს დღემდე ვერ გაურკვევია, ვინ არის მათი პლანეტის და ადამიანის შემქმნელი, მამოძრავებელი და მასაზრდოებელი, კოსმოსი თუ ის აბსტრაქტული არსება, რომელსაც უხსოვარი დროიდან ღმერთი დაარქვეს.

ჩვენ ვსაუბრობთ იმ განუსაზღვრელ სიდიდეზე, რომელსაც კოსმოსს (სამყაროს) ეძახიან და წარმოადგენს იმ განუსაზღვრელ ძალას, რომელსაც შეუძლია დროის თუნდაც მცირე მონაკვეთში მარტო ცალკეული პლანეტები კი არა ვარკსვლავთა უდიდესი გაერთიანებები, რომლებსაც ასტრონომები გალაქტიკებს ეძახიან, მტვრად აქციოს და გარკვეული დროის შემდეგ მათგან ახალი გალაქტიკები შექმნას. მისი უდიდებულესობის საბრძანებლის გაზომვა რომ ვინმემ მოინდომოს, მისი პანაწ-

კინტელა ნაწილი, რომელსაც ვარსკვლავთა ჰელიოცენტრულ სისტემას ეძახიან, ათვლის წერტილადაც თუ გამოდგებოდა, ესეც დიდი საქმე იქნებოდა, რადგან საქმე გვაქვს იმ უზარმაზარ განზომილებასთან, რომლის უშორესი ვარსკვლავი 3 C-9 აღმოჩენილი შემიდცის მიერ, 9 მილიარდი სინათლის წლის მანძილითაა დაცილებული დედამიწიდან და ახლაც მიემართება სადღაც უშორეს სივრცეებში და მიაღწევს თუ არა თუნდაც მილიარდობით წლების შემდეგ სამყაროს უკიდურეს წერტილამდე, ამას კაცის გონიერა ვერ სწვდება. ამოდენა დელულ-მამულის პატრონი ყოფილა ის სამყარო, რომლის შემოქმედებით უნარს ადამიანები ღმერთებად წოდებულ: დუმურზებს, ოსირისებს, იელოვებს, ასურამაზდებს, სეფლიუსებს, ოდინებს, მაზდუკებს და ადონასებს მიაწერენ.

ვარკსვლავთა ჰელიოცენტრული სისტემის შექმნიდან მოვედით ახალ ხანამდე. თეისტების შეხედულებით იელოვაზ წყვდიადში 6 დღე იმუშავა, შექმნა ყველაფერი რაც დღეს არსებობს, მაგრამ ამაზე კი არაფერს ამბობენ სად? და რაზე იდგა იგი, როცა დედამიწას და მთელ სამყაროს (ვარსკვლავთა სისტემების ჩათვლით ჰელიოცენტრული) აქ ეკლესია ორივე ფეხით ებმებაა მატერიალისტების მიერ დაგებულ ხაფანგში. კოსმოსის მიერ შექმნილ პლანეტაზე ედემის ბალი გააშენა და შიგ ადამიანები ჩაასახლა. ისინი ჩადენილი ცოდვის გამო გამოჰყარა ბალიდან და გაუშვა ცარიელ-ტარიელი, რაც შემქმნელ ღმერთს არ ეკადრება და არც ეპატიება. ეჭვს ქვეშ დგება მისი შემქმნელობა. ციური სულების შესახებ ჩემი გონიერა ფართო მასშტაბის არ არის, მაგრამ მიწერ არსებობზე დაკვირვებით შემიძლია ვთქვა, რომ შემქმნელი შექმნილის მიმართ მიმტევებელია, ძალიან უჭირს მისი დასჯა. იელოვას მიერ შექმნილი არსებები ახალგამოჩეკილები იყვნენ და მათი მკაცრი დასჯა, როგორც მცირენლოვანებისა, გამართლებას ვერ მიიღებს: თუკი ცხოველები და ფრინველები მანამდე იცავენ და პატრონობენ თავიანთ ნაშიერს, სანამ მათ არსებობის შესანარჩუნებელი საარსებო ჩვევების მინიმუმს არ გამოიმუშავებენ, მანამდე არ გაუშვებენ დამოკიდებლად, ადამიანებმა რა დააშავეს ასეთი, რომ გაჩენისთანავე შემქმნელმა „ფილოსოფოსობა“ დააწყები-

ნა და უმკაცრესი სასჯელი დაუწესა?! ღმერთმა თუ ყველა-ფერი არ იცის, ღმერთი არ არის. ახალგამოჩეკილ ევას რომ ბებერი სატანა დაიბრიყვედა, ამის არცოდნა და გაუთვალისწინებლობა ღმერთს კი არა უბრალო მოკვდავსაც არ ეპატიება. რატომ უნდოდა იელოვას, თავის მიერ შექმნილი არსებები მუდმივ უვიცობაში ჰყოლოდა?! რუსთაველი, მოკვდავი არსება გვასწავლის: „მით ვისწავებით შეგვეემნას შესხმა ზესთ-ზეთა წყობისა“-ო. თუკი მოკვდავი არსება ზესთ ზეთა წყობისაკენ გვექაჩება, რატომ გვიკრძალავს ამას მაღალი ღმერთი?! იბა-დება ეჭვი იმაზე, რომ ამის აკრძალვა შეუძლია არა ჭეშმარიტ, არამედ იმ ადამიანის მიერ მოგონებულ ღმერთს, რომელსაც კაცთა მოდგმა თავისი გამომგონებლის საკეთილდღეოდ უნდა ემართა და ეს მოდგმა რაც უვიცი და გაუნათლებელია, მით უფრო იოლი სამართავია. ეს ფაქტი ეჭვს არ იწვევს არცერთ ადამიანთმცოდნები.

ელოვა, როგორც ღმერთი, ადამიანის მიერ არის შექმნილი და ადამიანური მიდრეკილებებიდანაც არ არის თავისუფალი იგი ვაჭარ ურიასავით ესაუბრება იუდეველებს: „თუ კვლავ ჩემს წინააღმდეგ ივლით და არ ისურვებთ, მომისმინოთ, შვიდ-მაგათ დაგცხებთ თქვენი ცოდვებისათვის (ლევიენები 26:21) ეს წინადადება წარმოადგენს რთულ სინტაქსურ კონსტრუქ-ციას, რომელშიც მთავარ წინადადებაში გამოთქმული აზრი: „შვიდმაგად დაგცხებთ თქვენი ცოდვებისათვის“, ასრულდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამოკიდებულ თანწყობილ წი-ნადადებაში გამოთქმული აზრი: „თუ კვლავ ჩემს წინააღმდეგ ივლით და არ ისურვებთ მომისმინოთ“, ალსრულდება. მეტ კო-მენტირებას აღარ საჭიროებს ამ გრამატიკულ კონსტრუქციის აზრი და გასაგები ხდება რომ წინადადებაში გამოთქმულ ლო-გოსს ბიზნესურ-კომერციული ელფერი დაპკრავს. ამას, დარწ-მუნებული ვარ, რომ საშუალოდ მოაზროვნე კაცის გონება თა-ვისუფლად მიხვდება.

ყოველი ხალხი თავისი ისტორიის გარიურაჟზე ღმერთს თავის თავის მსგავსად და ხატად ქმნიდა. ქქსენოფანტე წერს: „ეთიოპები შავკანიანს ხატავენ ღმერთებს, თრაკიელნი კი ქე-რათმიანს და ლურჯთვალებას“-ო.

ფილოსოფოსები გვასწავლიან: რომ მატერია არის მარად მოძრავი სუბსტანცია, რომელიც არც წარმოიშობოდა და არც მოისპობა. იგი ობიექტურად არსებობს სივრცეში და დროში, რომელსაც არ სჭირდება არავითარი ღმერთი მის ასამოძრავებლად. ყველაფერი რაც ხდება სამყაროში არის მატერიის შინაგანი კანონზომიერება. თვით ადამიანი და მისი ცნობიერება მატერიის განვითარების და მისი ევოლუციის შედეგია.

ვაჟა-ფშაველა უშუალოდ მიუთითებს: რომ „ბუნება მბრძანებელია, იგი მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქმნელია ავისა...“ ლუკრეციუსის შეხედულებით: „დიდ ბუნებას მბრძანებელი არა ჰყოლია, თვითონ ყოფილა ყოვლის მქმედი ღმერთის გარეშე. ფოიერბახის გაგებით: „ღმერთს კი არ შექმნია ადამიანი, ადამიანმა შექმნა ღმერთი“. ნიკო ნიკოლაძის შეხედულებით ბუნება არც მტერია კაცისა და არც მეგობარი, არც სიკეთე უნდა მისთვის არაც სიავე“.

ადამიანს გარემომცველი სამყარო სამ ძირითად ნაწილად ჰქონდა წარმოდგენილი. კეთილებად, ბოროტებად და უვნებლებად. კეთილი ძალა ღმერთად აღიარა, ბოროტი-სატანად, უვნებელი და უმორჩილეს არსებას ცხვარი უნდა.

ადამიანი უფრო გულთბილი და ერთგულია თავის მიერ შექმნილი ღმერთისა ვიდრე ღმერთი ადამიანის მიმართ. პლატონი გვასწავლის: რომ, შემქმნელი უფრო არის დაკავშირებული შექმნილთან, ვიდრე შექმნილი შემქმნელთან“-ო. ამ დებულები-დან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რაკი შემქმნელი უფრო არის დაკავშირებული შექმნილთან, იგი მეტად ზრუნავს შექმნილზე, ვიდრე შექმნილი შემქმნელზე. იმოდენა სულიერი სითბო, როგორიც შემქმნელს აქვს შექმნილის მიმართ, შექმნილს შემქმნელის მიმართ არა აქვს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას: რომ, ღმერთს რომ ის სულიერი სითბო ჰქონდეს ადამიანის მიმართ, რაც ადამიანს მისადმი გააჩნია, არავითარ შემთხვევაში მას „წენვა გლეჯის“ ბაზრის დოქტრინებით არ აცხოვრებდა, ვერც სახიშტე და საზარბაზნე ხორცად გაიმეტებდა და ვერც სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდა მას ცოდნის შეძენის სურვილისა და ცოდნის ხის ნაყოფის შეჭმისათვის.

კოსმოსი წარმოადგენს ყველაფრის სუბსტანციას. ისიც

უნდა ითქვას, რომ მასში უცვლელი არაფერია გარდა ცვალებადობის.

ადამიანები სიკვდილისა და სიცოცხლის შესახებ ხშირად წუნუნებდნენ იმის გამო, რომ სიცოცხლე დროებითია და არა მარადიული. შეა საუკუნეებში დიდი მოაზროვნეები მივიღნენ იმ აზრამდე, რომ შემოქმედი თავისი მუშაობის ძირითად პრინციპად და საშუალებად ცვალებადობას იყენებს. ომარ ხაიამი დიდი ხნის წინათ წერდა: „დრო რომ იცვლება ნუ იდარდებ, ძმაო ამაზე, ქვეყნად ყოველი მარადისი რომ ყოფილიყო, არ გაჩნდებოდი არასოდეს ამ ქვეყანაზეო“. რაც შეეხება ღმერთს, რომლის შექმნა და შემოქმედება ჩემი სტატიის ძირითადი ლაიტმოტივია, შექმნილია ადამიანის მიერ და იგი სხვა არაფერია თუ არა ადამიანის გონების მიერ შექმნილი აბსტრაქტული არსება, რომელიც სხვადასხვა ხალხებს სხვადასხვა დროში სულიერ და კონკრეტულ არსებად ჰყავდათ წარმოდგენილი და კოსმოსური ძალა, ცხოვრების ცვალებადობა, აბსოლუტური გონი და სხვა ფაქტორები მას მიაწერეს და იგი სიკეთისა და სიძლიერის განსახიერებად აღიარეს. ბოროტების იმ დიდ განსახიერებას, რომელიც სიძლიერით ღმერთს ჩამოუვარდება კი არა გარკვეულ შემთხვევაში აჭარბებს კიდევაც, ხალხმა სატანა უწოდა. მას დიდი „დამსახურება“ მიუძღვის ბოროტების წინაშე: ადამიანების განადგურებაში, დაჩიავებაში, დასაწყლებაში და გაუბედურებაში, ღმერთი თითქოს უწევს წინააღმდეგობას, მაგრამ ხშირად დიდ დათმობებზე მიდის მის წინაშე. სხვას რას უნდა მიეწეროს ის მდგომარეობა, რომ კაცთა ცხოვრება უხსოვარი დროიდან დღემდე სხვას არაფერს წარმოადგენს თუ არა „წენვა-გლეჯის“ ბაზარს?! იქნებ სწორი იყოს ჯეკ ლონდონის შეხედულება: რომ „ღმერთი მხოლოდ უცქერის კაცთა გაჭირვებას და არ მოქმედებს“. იგი ღირებულებათა გადაფასებისას, თუ მანამდე ტაქტიკა არ შეიცვალა და აქტიურობა არ გამოიჩინა, სიკეთისა და მართლმსაჯულის ტიტულს აუცილებლად დაკარგავს.

P.S. ლაო-ძის შეხედულებით, დაო არ არის ღვთაება, ღმერთი, რომელიც ადამიანმა თავისი არსებობის მოგვიანო საფეხურზე შექმნა. ღმერთები და ღვთაებები დაოს შემდეგ

იშვნენ. იგია დასაბამი ყოველივესი... დაომდე არაფერი არ არ-სებობდა გარდა ქაოსისა... ყოველი არსი მასში იღებს დასაბამს და მისით სრულიქმნება. მაგრამ მათ არ უწყიან თავიანთი და-საბამი“.

ლაო-ძის შეხედულებაში თვალნათლივ ჩანს რომ ადამიანმა თავისი არსებობის მოგვიანო საფეხურზე შექმნა ღმერთი, რი-თაც მართლდება ლიხტენბერგის შეხედულება ადამიანის მიერ ღმერთის შექმნის შესახებ.

P.S.2. დიდ მოაზროვეებზე დაყრდნობით მტკიცდება რომ მატერია თავისი: ძალური ველებით, პლაზმებით, პროტონე-ბით, ელექტრონებით, ნეიტრონებით და ატომებით წარმოად-გენს ყველაფრის სუბსტანციას.

ადამიანი შემქმნელია შიდანვის ძრავებისა, უდიდესი საზღ-ვაო და საჰაერო ხომალდებისა და მშენებელია დიდი ქალაქე-ბისა, მაგრამ მისი შემოქმედების მწვერვალი მაინც ღმერთია „შემწე ყოველთა სულიერთა“. კაცს რომ ეს შემწე არ გამოეგო-ნებია, ის ვერასდროს ვერ მიაღწევდა განვითარების იმ დონეს, რომელზედაც ამჟამად ცხოვრობს და დარჩებოდა იმ ჰომოდ, რადაც მატერიალურმა სამყარომ შექმნა.

ადამიანის მიერ შექმნილ ძალას, რომელსაც რუსთაველი თვლის „შემწედ ყოველთა სულიერთა“ სჭირდებოდა რომ მისი შემქმნელი ყოფილიყო იმ ინტელექტის მქონე როგორიც ამჟა-მად აქვს.

**კოლხეთის (ფაზისის) საერთაშორისო სამუცნიერო
აკადემიის აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე
12.XII.2022წ.**

ადამიანისა და ქალის მეგობრობის აქსიოლოგია

„... არ მიკვირს კაცის და ქალის მეგობრობა,
მე ამ ორზე ბედდამწვარი ქვეყნად არვინ მეგულება“.
შილერი

„...არ არსებობს არც ერთ სხვა ცხოველი, რომელსაც
ისე კარდინალურად შეეცვალა ცხოვრების ნირი და
ინტერესების სფერო და გამხდარიყო ჭეშმრიტი შენაური
როგორც ძალლი“.
კონრად ლორენცი

ჯერ კიდევ 14 ათასი წლის წინ ძალლმა გამოქვაბულებში
მცხოვრები ჰომოების ყურადღება მიიპყრო. იგი არ სცილდებო-
და მათ საცხოვრებელს და მტრის მოახლებას ყეფით ატყობი-
ნებდა თავის იობიერტის ბინადართ. ხოლო კოგნიტური რევო-
ლუციის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო რევოლუციის ეპოქაში,
როცა ადამიანმა ცხოვრებისა და მცენარების ცხოვრებაში სა-
ფუძვლიანი ჩარჩვა დაიწყო, ძალლი თითქმის მოშინაურებული
ჰყავდა. ჰომოსაპიენსმა იგი უკვე თავის მეგობრად და უტყუარ
შემწედ გაიხადა. ამ მეგობარს ჰომოსაპიენსები საკვებადაც
იყენებდნენ. ეს ტენდენცია აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყნებში
დღემდე გრძელდება, ხოლო წინა აზიის და ევროპის ქვეყ-
ნებში, რომლებშიც აბრამული რელიგიები დამკვიდრდა თალ-
მუდის კარნახით აეკრძალათ იმ ცხოველების ხორცის ჭამა,
რომლებსაც წყვილი ჩლიქი აქვთ და არ აღმოიცოხნიან. ძალლი
მოხვდა წყვილჩლიქიანებში და არამცოხნელებში, რამაც იგი
გადაარჩინა ადამიანების სტომაქს.

ქართველმა კაცმა, ძალლის ხორცის ჭამის თალმუდისეუ-
ლი აკრძალვა დღემდე შეინარჩუნა და კიდევ დიდხანს შეი-
ნარჩუნებს. მას ღმერთი რომ გამოეცხადოს და შესთავაზოს,
შეჭამე ძალლის ხორცი და 100 წელიწადს ყველა ადამიანური
სიკეთით უზრუნველელყოფო, ასეთ პასუხს გასცემს: არ მინდა
უფალო, არც 100 წლის სიცოცხლე და არც ადამიანური სიკე-
თით უზრუნველყოფა, ძალლის ხორცის ჭამის საფასურადო.

ძალლის ხორცის აკრძალვის ტრადიციამ დიდად შეუწყო

ხელი მანანნალა ძალლების მომრავლებას. ღორს გამრავლების უნარი ძალლზე ნაკლები კი არა მეტიც აქვს, მაგრამ მისი ღრუტუნი სოფლებში თითქმის აღარ ისმის და ძალლების ყეფა და ყმუილი სოფელზე შეუჩვეველ ადამიანს ძილს არ აძლევს, და ქალაქში მოსვენებას.

ძველ დროში მანანნალა ძალლები სპეციალური ავტომობილებით სადღაც მიჰყავდათ ტყავს აძრობდნენ ქარხნებში და რაღაცეებისთვის იყენებდნენ: მაგრამ ახლა ამ დემოკრატიის შუქურაში ვინ აკადრებს ძალლს იმის თქმას, რუსთაველის პროსპექტზე შენი ადგილი არ არისო. მაშინვე ეტაკებიან ძალლოფილები ასეთ კაცს: „დემოკრატიულ ქვეყანაში“ ვინ მოგცა იმის უფლება, რომ ძალლს შეურაცხყოფა მიაყენო და ქალაქში სეირნობა აუკრძალოო.

ადამიანისა და ძალლის მეგობრობა მალე თავის აპოგეას მიაღწევს და კინოლოგები მას ღვთაებად აღიარებენ, თუ სათანადო უწყებები ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას დროულად არ მიაქცევენ.

ლორენცი წერს: რომ ადამიანის წრის წევრად ორი ცხოველი იქცა მხლოდ არა როგორც ტყვე და მოშინაურებული იქნა იძულების გარეშე კატა და ძალლი. კატა უმეტესწილად სახლშია სხვენზე ან სარდაფში და თუ თაგვები შემოელია, მინდორში გამოდის სანადიროდ და საზოგადოებას არ აწუხებს. მღრღნელები აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო კულტურების 17%-ს ანადგურებენ. თუ ეს სტატისტიკა ჭეშმარიტებაა, მაშინ კატას კი ჰერნია უტილიტარული მნიშვნელობა. თუ ამერიკაში მღრღნელებისგან მიყენებული ზარალი სოფლის მეურნეობის კულტურებზე 17%-ია ჩვენთან ნაკლები ხომ არ იქნება, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ლუარსაბ თათქარიძის ქვეყანა უყურადღებობაში უყაირათობაში და უანგარიშობაში პირველობას სანამ პირში სული უდგია, არავის დაუთმობს.

თაგვის მოსაპარავი მიუხედავად გაჭირვებისა, ყველას რაღაც გაგვაჩნია, მაგრამ ქურდისა არა. შილერი წერს: „შეჩერდი ქურდო, ქოხი გადარჩა, დგას სიღარიბე ერთგულ დარაჯადო“.

თუ კატას უტილიტარული მნიშვნელობა აქვს ადამიანებთან მეგობრობაში, ამა ვერ ვიტყვით ძალლის მიმართ, რადგან

ძალლისთვის თვითონ ადამიანს აქვს უტილიტარული მნიშვნელობა. იგი პატრონის ერთგულია და არა საერთოდ ადამიანისა. ძალლი თავანანწირვით იბრძეის პატრონის დასაცავად. ეს პატრონი შეიძლება ადამიანის მაგივრად სხვა არსებაც იყოს, მაგრამ იგი უფრო მეტად ადამიანზე არის დამოკიდებული.

უიულ ვერნის დიკ სენდი დატყვევებული და ბოძზე აკრული, ასე პასუხობს ნეგოროს... „თუ ჰერკულესი მოკვდა, დინგო ხომ ცოცხალია, შენნაირ ლაჩარს ადვილად გაუსწორდება. დინგო დაგეძებს, აუცილებლად გიპოვის, კბილებს ყელში გაგიყრის და მზეს დაგიბნელებს“... დაუბნელა კიდევაც (იხ. 15 წლის კაპიტანი, თავ XIX გვ. 298).

მაინ რიდის კარლოსის ციბილო გამოქვაბულთან შეჩერდა (რომელშიც კარლოსი უნდა შესულიყო და ხმამაღლა ყეფას მოჰყვა... მაგრამ მალე ოთხივე ერთად დაესხა თავს: მანული, ჰეპე, ქოფაკი და მეძებარი. ერთდროულად გლეჯდნენ საცოდავს ორნი დანებითა და ორნი კბილებით. საბრალო ციბილომ იგრძნო ოთხივეს ვერ გავუსწორდებიო, ხელიდან დაუსხლტა და კლდეს მიეფარა... პატრონმა მტრებისგან თავდაღწეულ ძალლს ასე მიმართა: შენ იხსენი ჩემი სიცოცხლე, ახლა ჩემი ჯერია, ვეცდები სიკვდილისგან გიხსნა“. და იხსნა კიდევაც (იხ. „თეთრი ბელადი“ თავი 351, გვ. 316).

ჭავახიშვილის არსენა მარაბდელმა „ლურჯ ჯაგზე მია-ბა და თვით კარებში შეალავა. შეალავა და მაშინვე ინანა. მკერდზე ვეება ძალლი აბობლდა ლრენით და ყელთან გოჯის კბილები აუწყაპუნა, იმავე წამს თავის საფეხქელთან დამბაჩა დაინახა და ბინდიდან მრისხანე ბრძანებაც შემოესმა: „დაზექი ძმობილო, ჩქარა დაზექი, თორემ გათავდი“ არსენა ჩაჯდა და ძალლის კბილები აიცდინა... იქაური ძალლები ასე იყვნენ დაგეშილები, გაქცეულს გლეჯდნენ... არსენამ დალი ჰასანის ორ ტყვესთან ერთად შეთემულება მოაწყო... არსენამ კარებში დალი ჰასანის შემოსვლისთანავე, ისე ისკუპა, თითქოს ხრახნილებზე მჯდარიყო, ჯუჯა თათარი მაშინვე ქვეშ ამოიდო. იმავე წამს ჰასანას დამბაჩამ იგრიალა და მარაბდელმა ძალლის მძიმე ტორები და მწვავე კბილები იგრძნო. დანარჩენიც ერთ წუთში მოხდა ოსტაპმა ძალლი კატასავით აიტაცა, უსასო სიმონაც ნა-

გაზს ფეხებში მისწვდა და იგი მაშინვე გაგუდეს. არსენამ დალი ჰასანი თოკით შეკრა, კუთხეში მიაგდო, ზედ დამხრჩალი ძალი დააგდო და უთხრა: დალი ჰასან, მე თვითონ გახლავარ არსენა“ (იხ. „არსენა მარაბდელი“ გვ. 190).

თუ გადავხედავთ შოლოხოვის მოთხრობას „ბედი კაცისა“, აქ უკვე ნამდვილი ტრაგედია გვაქვს ძალლებისგან ადამიანის წამების თემაზე.

ფაშისტების კონცლაგერიდან გამოქცეული სოკოლოვი ასე აგვილწერს მის დაჭერას ძალლების მიერ: „...и вот слишь собачий брех и мотоцикл трешит. собаки всё ближе голоса подают. Лёг я плошмя и закрылся руками, чтобы они мне хот лицо не обгряли. добежали и в одну минуту спустили с меня всё моё рване. Остался в чём мать родила. под конец один кабел стол мне на груд передними лапами и целился в глодку... подъеали немцы... натравили на меня собак и с меня кожо с мясом полетели клочьями. Голова всё в крови. Привезли в лагерь („судьба человека ст. 187).

დასახელებულ მაგალითებში პირველ შემთხვევაში საქ-მე გვაქვს „ციბილოს“ მეგობრულ დამოკიდებულებასთან. პატრონისადმი და პატრონის უურადლებიანობასთან და მზრუნ-ველობასთან ცხოველისადმი. რაც მან თავისი ერთგულებით დაიმსახურა. ხოლო მანულის და ჰეპეს ქოფაკი და მეძებარი ისეთივენი არიან როგორიც მათი პატრონები. მათი შეფასები-სას უნდა გავიხსნოთ დოილის შეხედულება ძალლებზე, რომ: „ცხოველი პატრონს ემსგავსება. ბოროტ კაცებს ავი და ბო-როტი ძალლები ჰყავთ“. დოილის ამ შეხედულებას სრულად ამართლებენ როგორც მანუელის ჰეპეს ქოფაკი და მეძებარი, ისე დალი ჰასანის და გერმანელი ფაშისტების ძალლები.

დასახელებული არგუმენტები ამტკიცებენ, რომ ძალლი ერთგულია პატრონისა არა საერთოდ ადამიანისა. იგი რომ ადამიანის ერთგული იყოს, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებდა მანუელის, ჰეპეს, დალი ჰასანისა და ფაშისტების ერთგულ სამსახურს.

არ არის გამორიცხული რომ ვინმემ იფიქროს: განა სამუ-ლი, ჰეპე, დალი ჰასანი და ფაშისტები ადამიანები არ არიანო?

– აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ადამიანის და კაცის ოლგიკური გაგება. ეს სიტყვები ჩვეულებრივ მეტყველებაში ერთ-მანეთის მიმართ სინონიმებია. ოლგიკურად ისინი სხვადასხვა შინაარსის შემცველია.

კაცის რაობის დიდებულ განმარტებას იძლევა გრიგოლ ორბელიანი: „კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო არსით ცხებული, მით ყოვლი საქმე არს კეთილ და მხარე დამშვენებული“. გამოთქმული შეხედულება არავითარ კომენტირებას არ მოითხოვს, რადგან იგი თითოეული სალად მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები და მისალებია. სიტყვა ადამიანი, რომელიც გამოიყენეს კაცის სინონიმად მოითხოვს განმარტებას: რომ ადამიანი არის უკანა კიდურებზე დაყრდნობით მოძრავი ძუძუ-მწოვარი, მოაზროვნე და ენამეტყველი არსება. იგი შეიძლება იყოს ისეთი, როგორსაც ორბელიანმა კაცი უწოდა, ან არ იყოს. თუ არის კარგია და კაცად შეირაცხება. თუ არ არის, მაშინ იგი უბრალოდ ადამიანია და არა კაცი. ილია ჭავჭავაძე არის კაცი კაცური, მაგრამ მისი ლუარსაპ თათქარიძე არის მხოლოდ ადამიანი, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანობის ყველა მოთხოვნას, მაგრამ მისთვის ვერავინ კაცობის ტიტულს ვერ გაიმეტებს, რადგან იგი მას მხოლოდ მისი ავტორისა და მისნაირი კაცებისათვის ემეტება.

კაცი და ადამიანი სხვადასხვა ცნებებია, მაგრამ ხალხმა ისინი სინონიმებად შერაცხა. პლატონი ამბობდა: „ხალხი ის სოფისტია, რომელსაც ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევ ვერც მისი მსოფლმხედველობის და ვერც მისი სურვილების სფეროში“ კაცი და ადამიანი ხალხის შეგნებაში დარჩა სინონიმებად და მას ვერ შეცვლი. მეცნიერებმა რამდენიც არ უნდა წერონ, მაინც ხალხი ყველაფერს თავისებურად გაიაზრებს. ვაჟა-ფშაველა ხომ გვეუბნება: „თემს რაც სწადიან, მას იზამს, თავის თემობის წესითაო“.

თანამედროვე ცხოვრებაში ძალლს პრაქტიკული მნიშვნელობა შემორჩა მხოლოდ სოფლის განაპირად მცხოვრებ კაცთათვის და მონადირეებისთვის. ხოლო რუსთაველზე რა საქმე აქვთ მანანნალა ძალლებს, ეს ვედარ გამიგია.

უანგარიშობა დამლუპველია ყოველგვარი საქმისა. მსო-

ფლიოში 400 მლნ ძალლია აღრიცხვაზე აყვანილი. ძალლი 1 კილორამ პურს მაინც „მიირთმევს“ დღეში. 400 მილიონი ძალლის გამოკვებას ყოველდღიურად სჭირდება ხორბლის ფქვილით გამომცხვარი პურით დატვირთული 400 მატარებლის შემადგენლობა. მართალია, ძალლი ძალლურ ლუკმას ჭამს, მაგრამ როცა ადამიანი ძალლური ლუკმით იკვებება მაშინ კაცის ლუკმა ძალლებს აღარ უნდა მოვახმაროთ. მალთუსიანები ადამიანების გამოჩალვას ურჩევენ პოლიტიკოსებს და ჩვენს პრეროგატივებს ძალლების როცხვის შემცირება ვერ გაუბედიათ. სასაცილოცაა და სამარცხვინოც ის ამბავი, რომ ჩემს სოფელში მცხოვრებთა უმრავლესობა მთავრობის მიერ ნაწყალობები დახმარების ფულით ნაყიდი პურით ძალლებს კვებავს. ეს ფაქტორი მაჩვენებელია როგორც ხალხის, ისე მთავრობის უყაირათობისა და უანგარიშობისა.

ძალლოფილები ირნმუნებიან, რომ ძალლი ადამიანის ხორცს არ შექამსო, მაგრამ ცურუბენ, რათა ძალლის ერთგულება დაამტკიცონ ადამიანისადმი, ვაჟა-ფშაველას აღაზა ასე მიმართავს ზვიადაურის ლეშის საჯიჯგნად მიმავალ ძალლს: სად მიხვალ, სადა წყეულო, საითკენ მიეჩქარები?! ვინ გაჭმევს კაის ყმის ლეშსა?! ძალლო, დაგიდგა თვალები! შენს საჯიჯგნადაც გამხდარა ზვიადაურის ძვალები?!“

რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ ძალლის მაღალკეთილშობილებაზე ძალლოფილებმა, ძალლი, რომაელთა შეხედულების თანახმად მაინც ძალლია და კაცის ძირითადი მეგობარი და საზრუნავი მაინც კაცი უნდა იყოს და არა ძალლი.

